

რეკლამის ეფექტურობა

სწრაფი
მედიის ეფექტურობა



წერილი უკაცრიელი კუნძულიდან

- ასეთი ლამაზი ადგილი ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს, - თქვა კაპიტანმა ჯორჯანმა და ციცაბო მთის კალთაზე შეფენილ სოფელს გახედა.

მართლაც ლამაზი სოფელი გახლდათ. მთის ფუძე ზღვის ნაპირს ებჯინებოდა, ხოლო თეთრად შედებილი სახლები, რომლებიც ფუძიდან მწვერვალამდე ორ მრუდხაზოვან მწკრივად იყო განლაგებული, მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა და ნამდვილი პირველსახე იყო ტიპური მთის სოფლისა. არ იყო გზები, სადაც ფორანს, ურემს ან ოთხთვალას შეეძლო გადაადგილება, ტვირთის გადაზიდვა მხოლოდ საპალნეაკიდებული ვირებით ან ცხენებით თუ შეიძლებოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტვირთაკიდებულ ვირებსა და ცხენებს არა მარტო აქ, არამედ მთელ ინგლისში შეხვდებოდით. სოფელში ორ ერთნაირ სახლს ვერ ნახავდით; საკვამურებიც კი ერთმანეთისგან განსხვავებული ჰქონდათ. იმდენად დამრეცი იყო მთის კალთა, რომ სოფელში ასასვლელად ექვსი ფუტი (სიგრძის საზომი ერთეული. ერთი ფუტი 30,48 სანტიმეტრის ტოლია) სიგანის უხეშად თლილი ქვის საფეხურები დაეგოთ, რომელზეც ხშირად შეხვდებოდით ზღაზენით ამომავალ, მძიმე ტვირთისგან ქანცგამოცლილ ცხენებს ან ვირებს, რომელთაც სოფელში თევზი, ნახშირი და სხვა პირველადი მოხმარების საქონელი ამოჰქონდათ. იქაურობას საქონლით რამდენიმე ნავისგან შემდგარი „ფლოტი“ და ორი თუ სამი მოვაჭრის კუთვნილი კაბოტაჟული (კაბოტაჟი - ნაოსნობა ზღვის ნაპირის სიახლოვეს) კანჯო ამარაგებდა.

მთის სოფელი კონტრასტს ქმნიდა ზღვის ნაპირთან, მაგრამ სწორედ ეს კონტრასტი ანიჭებდა განუმეორებელ სილამაზეს ამ ადგილს. იმდენად ახლოს იყო სოფელი, რომ კაპიტანი ჯორჯანი ნათლად ხედავდა ქვის კიბეებზე ამავალ თევზით დატვირთულ ქარავანს, რომელსაც ტვირთის მეპატრონეებთან - მეთევზეებთან ერთად, მათი ცოლ-შვილიც მიაცილებდა. ჯორჯანის ყურს ცოლების ყაყანისა და ბავშვების ჟრიამულის ხმებიც კი სწვდებოდა.

გვიანი შემოდგომა იდგა. ფოთოლცვენა დიდი ხნის დაწყებული იყო. ჩამოცვენილი ფოთლებისგან მოწითალო-მოყავისფროდ შეფერილი მთის კალთები ლაჟვარდოვან ზღვაში ირეკლებოდა, რომელსაც ზემოდან ჩრდილოეთ დევონშირის უღრუბლო ცა დაჰყურებდა. სოფელი ფრინველის ვეებერთელა ბუდიდან ამოზრდილ ჯადოსნურ სუროს მოგაგონებდათ. ზღვის ერთფეროვანი პეიზაჟით გაბეზრებული ჯორჯანი ხარბად შეჰყურებდა ბუნების ამ საოცრებას და მისი სილამაზით ტკბებოდა. ზოგჯერ ზღვის ნაპირსაც შეავლებდა ხოლმე თვალს. ნაპირი თეთრი კენჭებითა და ლოდებით იყო მოფენილი, თუმცა სითეთრის ამ ერთფეროვნებას ალაგ-ალაგ გასაშრობად გაფენილი თევზსაყქერი ბადეები არღვევდა. ცაში ჭილყავათა გუნდი ნავარდობდა, ხოლო უფრო დაბლა, ზღვის ზედაპირის სიახლოვეს, თოლიები დაფარფატებდნენ და თევზებზე ნადირობდნენ. პაწაწინა გულწითელა ჩიტები ზღვის ნაპირზე მოფენილ ლოდებსა და ტალღამტების (ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომლის დანიშნულება ზღვის მოქცევისას ტალღების დაშლა და სანაპირო ზოლის დაცვაა) რკინის რგოლებზე ხტოდნენ, არ უფრთხოდნენ იქვე ახლოს მოთამაშე ბავშვებს.

ფრინველთა გალობა, ცხენების ფლოქვების თქარუნი ქვის კიბეებზე, მეთევზეებისა და მათი ცოლების ყაყანი, ბავშვების ჟრიამული, ზღვის ტალღების ტყლაშუნი ჯებირზე და სიოს სისინიც კი კაპიტან ჯორჯანს ბუნების საოცარ სიმფონიად ჩაესმოდა.

ის ზღვის ნაპირზე იჯდა, მის წინ გადაშლილი პეიზაჟით მოხიბლული ადფრთოვანების ნიშნად ხელს მუხლზე იტყაპუნებდა (მუხლებზე ხელების დატყაპუნებით ემოციის გამოხატვა მისი ჩვევა გახლდათ) და დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე:

- ასეთი ლამაზი ადგილი ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს!

კაპიტანი ჯორჯანი ამ სოფელში არ იყო ნამყოფი, მაგრამ ის შორიდან ადრეც შეუმჩნევია. მას, როგორც მეზღვაურს, ბევრგან უწევდა ზღვის ნაპირზე გადმოსვლა და ნაპირის მიმდებარე ადგილების დათვალიერება. ყოველივე ნანახს ფენომენალური მეხსიერებისა და მაღალი ინტელექტის წყალობით კარგად იმახსოვრებდა და სწორად აფასებდა; ჯორჯანი ამერიკელი გახლდათ, დაბადებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთში - ახალ ინგლისში. როგორც მეზღვაურს, ახალ-ახალი ადგილების ხილვა უხდებოდა და ისიც ითვისებდა ყოველივე საუკეთესოს, რაც სხვადასხვა ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც, თითოეულის მოქალაქედ მიაჩნდა თავი.

სანაპიროზე, ნავსაყუდელთან მჯდარი, ლურჯ შარვალსა და გრძელ კიტელში გამოწყობილი კაპიტანი ჯორჯანი ფიქრებში ჩაიძირა. იქვე ახლოს მეზღვაურებს მოეყარათ თავი და რაღაცაზე კამათობდნენ. ბოლოს გამოელაპარაკა მათ: გამოჰკითხა თევზჭერის ამბები, ზღვის სიღრმე ნაპირთან, ტალღათა მოქცევა, ნაპირთან კანჯოსა თუ კატარდის მიყენების თავისებურებები და სხვა. ჯორჯანის ყურადღება ერთმა ახალგაზრდა მეზღვაურმა მიიპყრო, რომელიც ოცდაორი-ოცდასამი წლის იქნებოდა. მეზღვაურს უხეში ტანსაცმელი ეცვა, სამხრეთული ქუდი ეხურა; სახე და ხელები მზისგან გარუჯვოდა; შავი, ნათელი თვალები ჰქონდა და გულუბრყვილო გამოხედვით გამოირჩეოდა; შვენოდა ხუჭუჭი თმა და ბაკები. „ათას დოლარს დავდებ ნაძლევად ერთის წინააღმდეგ, რომ ეს ახალგაზრდა ღირსეულ და პატიოსან ოჯახშია გაზრდილი“, - გაიფიქრა ჯორჯანმა.

- დაქორწინებული ხარ, ახალგაზრდავ? - შეეკითხა მეზღვაურს.

- ჯერ არა.

- მაგრამ ხომ აპირებ?

- დიახ, სერ, - მორცხვად მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა.

ჯორჯანის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ მასთან საუბრისას ახალგაზრდა მეზღვაური დროდადრო თვალს გააპარებდა ხოლმე სანაპიროსა და სოფლის გამყოფი კედლის გადაღმა მდებარე სახლისკენ, რომლის აივანი სუროსა და ფუქსიის (ფუქსია - დეკორატიული მცენარე) ფოთლებით იყო მოფენილი და სადაც ულამაზესი ქალწული გადმომდგარიყო.

- ასეთი წარმტაცი სურათის მნახველი არასოდეს ვყოფილვარ, ჩემ თვალწინ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ტრფობის ამსახველი ულამაზესი პანოა გადაშლილი, - თავისთვის ჩაილაპარაკა ჯორჯანმა.

კაპიტანი ჯორჯანი ღიმილით შესცქეროდა ამ სურათს. ბუნებით კეთილს, ყოველთვის ახარებდა სხვათა ბედნიერება და სიყვარული.

ის იყო, სხვა თემაზე უნდა დაეწყო საუბარი, რომ ჯორჯანმა თვალი მოჰკრა სოფლიდან მომავალ ახალგაზრდა მამაკაცს, საფეხურზე სწრაფი ნაბიჯებით რომ ჩამოდიოდა.

- ტომ პეტიფერ, ეჰეი, ტომ პეტიფერ! - გასძახა კაპიტანმა ამ ახალგაზრდას, რომელმაც, მისალმების ნიშნად, ჯორჯანს ხელი აუწია, კიბე სწრაფად ჩამოირბინა და ტალღამტეხთან, მის გვერდით აღმოჩნდა.

- რატომ გახურავს საჩრდილობელი ქუდი? ინგლისში, თანაც ნოემბერში, დასიცხვის ხომ არ გეშინია? - ღიმილით ჰკითხა კაპიტანმა ტომს.

- ვერ ვიტან, თვალეში მზე რომ მიჭვრიტინებს, თუნდაც ეს შემოდგომის მზე იყოს. ქუდის დამრეცი კალთა ამისგან მიცავს, - მიუგო ტომმა.
- რა გარკვევით საფოსტო ოფისის შესახებ? - იკითხა ჯორჯანმა.

- „საფოსტო ოფისი“ ფოსტასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს საოჯახო მარკეტინგული ფირმის სახელია.

- კარგი დამთხვევაა, - თქვა კაპიტანმა, - ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. სასწრაფოდ უნდა გავემართოთ ამ ფირმის მოსამებნად.

მერე მებადურებს მიუბრუნდა:

- ნახვამდის, მეგობრებო! გამგზავრებამდე კიდევ გინახულებთ.

ეს სიტყვები ყველას მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ თითოეული მიხვდა, რომ უცნობს განსაკუთრებით ის ახალგაზრდა მებადური აინტერესებდა, შორიდან რომ ეტრფოდა ქალწულს.

- ეს კაცი ნამდვილად მეზღვაურია, - თქვა ერთ-ერთმა მებადურმა, როცა უცნობმა იქაურობა დატოვა.

ბევრი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მათი აზრით, უცნობის ტანსაცმელს მხოლოდ ფერი ჰქონდა საერთო მეზღვაურის ფორმასთან; აქაოდა, კიტელის სახელოები ზომაზე მეტად გრძელი, ხოლო შარვალი ძალიან მოკლეაო. ზოგმა თქვა, ეს მოძველებული ფორმაა და ასეთ სამოსს უკანასკნელად უელინგტონის (უელინგტონი - ინგლისელი ფელდმარშალი, რომელიც 1815 წელს ინგლისისა და

ჰოლანდიის გაერთიანებულ ჯარს სარდლობდა ვატერლოოს ბრძოლაში, სადაც პრუსიელ მოკავშირეებთან ერთად სასტიკად დაამარცხა ნაპოლეონ ბონაპარტი) სადესანტო ხომალდების მეზღვაურები ატარებდნენო; ასეთ მაღალსა და ხისტ ქუდს ქარიან ამინდში ახლა არც ერთი ჭკუათმყოფელი მეზღვაური არ დაიხურავსო და სხვა. ზოგმა გამოთქვა ვარაუდი, რომ სტუმარი სანაპიროს სამსახურის თანამშრომელი იყო. მაგრამ ყველას ერთსულოვანი მოსაზრებით, უცნობს გარეგნობა, საუბრის მანერა, გამჭოლი გამოხედვა, მზისგან გარუჯული სახე და ხელები მართლაც მეზღვაურული ჰქონდა. მეტიც, მათი აზრით, სტუმარს

ამ მხრივ ჭეშმარიტ მეზღვაურად აღიარებული შავგვრემანი, ხუჭუყბაკებიანი, ახალგაზრდა მებადურიც კი ვერ შეედრებოდა.

ქვის საფეხურებზე ამავე კაპიტანი ჯორჯანი და ტომ პეტიფერი „საფოსტო ოფისისკენ“ მიეშურებოდნენ. ძნელი იყო ქვის საფეხურებით აღმავალ, ხვეულსა და დახლართულ გზაზე სიარული. ერთ-ერთ მონაკვეთზე გზა პირდაპირ ფეხსაცმლის შემკეთებლის სახელოსნოს ებჯინებოდა და უმოკლესი გზით სვლის გასაგრძელებლად საჭირო იყო ამ სახელოსნოს გადაკვეთა, სადაც ფეხსაცმელების დაკრებით გართული მოხუცი მეჯღანე დროდადრო ხან ერთ ფანჯარაში იყურებოდა და დევონშირის წარმტაცი ლანდშაფტის სილამაზით ტკბებოდა, ხანაც მეორე ფანჯრიდან ოკეანის უკიდევანო სივრცეს გასცქეროდა. როგორც იქნა, მიაღწიეს სასურველ დაწესებულებას. ეს იყო მთის მწვერვალზე აშენებული პატარა, ძველებური სახლი, რომლის კარზეც ეწერა „ქალბატონი რეიბრუკი - მანუფაქტურული საქონლით მოვაჭრე“; ცოტა ქვემოთ კი - „საფოსტო ოფისი“.

- აი, ისიც, როგორც იქნა, მივაგენით, - თქვა ჯორჯანმა და კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი. - მე შევალ ფირმაში, შეგიძლია შენც შემომყვე!

ჯორჯანმა კარი შეაღო და ფირმაში შეაბიჯა. ოთახი ვიწრო და დაბალჭერიანი იყო. სიმაღლით მხოლოდ ექვსი ფუტი თუ იქნებოდა. ჭერის სიახლოვეს უცნაური, უსწორმასწორო ძელაკები იყო გადებული. ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა: ერთი, მოზრდილი – შესასვლელთან დატანებული, ხოლო მეორე, მომცრო – ოკეანის მხარეზე, რომლის მქრქალ მინაში ლამაზად ციალებდა მზის სხივებით განათებული ოკეანის ზედაპირიდან არეკლილი ნათება.

– გამარჯობა, მადამ! – მიესალმა ჯორჯანი ოთახის შუაგულში მდგარ ხანში შესულ ქალბატონს, – მოხარული ვარ, რომ, როგორც იქნა, შეგხვდით. ამისთვის ძალიან, ძალიან დიდი მანძილის გამოვლა დამჭირდა.

– მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ მეც მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით.
– მიუგო ქალმა.

სასიამოვნო გარეგნობის, ოდნავ სრული, შავთვალა, კეთილი გამომეტყველების ქალბატონი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა შემოსულ სტუმარს.

– ოჰო, მეზღვაური ყოფილხართ! მით უფრო სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, – თქვა მან და თავაზიანობის ნიშნად, ხელის მტევნები მსუბუქად შეატრიალა.

– გმადლობთ გულითადი მიღებისა და კეთილი სიტყვებისთვის, ქალბატონო,
– თქვა კაპიტანმა, – არ ვიცი, რით ავხსნა, მაგრამ მეზღვაურული ფორმა ადამიანებს ჩემდამი კეთილად განაწყობს ხოლმე.

– როგორც ჩანს, თქვენი მეგობარიც მეზღვაურია. – თქვა ქალმა და ტომს შეხედა.

– ბატონი ტომ პეტიფერი ახლა აპირებს ეზიაროს ნამდვილ მეზღვაურულ ცხოვრებას. ამჟამად კი ჩემი თანაშემწეა საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და კომერციულ საკითხებში, – მიუგო ჯორჯანმა, – დიდი გამოცდილება აქვს კომერციაში, ვერ დაასახელებთ საქონელს, რომლის ყიდვა-გაყიდვაში გამოცდილება არ ჰქონდეს, მათ შორის, ისეთების, რომლებითაც თქვენი ფირმა ვაჭრობს. თუმცა ბოდიში, მე ხომ ჯერ თავი არ წარმომიდგენია. კაპიტანი ჯორჯანი გახლავართ, გემების მფლობელი; აი, უკვე ოცდახუთი წელია, ჩემს პარტნიორთან ერთად გემების ყიდვა-გაყიდვას მივდეგ, ადრე კი მეზღვაურულ ცხოვრებას ვეწეოდი, კაპიტანი გახლდით. როგორც ხედავთ, ახლაც მეზღვაურის ფორმას ვატარებ, კოლეგები კი დღესაც ძველებურად კაპიტან ჯორჯანს მეძახიან.

– ხომ არ აჯობებს, მისაღებ ოთახში გავიდეთ და იქ განვაგრძოთ საუბარი? – თქვა ქალბატონმა რეიბრუკმა.

– რა თქმა უნდა! მეც სწორედ ეს მინდოდა შემომეთავაზებინა თქვენთვის, – თქვა ჯორჯანმა.

ჯორჯანმა ტომს უბრძანა, მაღაზიაში დარჩენილიყო და იქაურობას გასცნობოდა, თვითონ კი ქალბატონ რეიბრუკს გაჰყვა მისაღებში. მისაღები მომცრო ოთახი გახლდათ. თაროებზე ქოთანში ჩარგული დეკორაციული მცენარეები იყო განლაგებული, ხოლო კარადაში ჩაის ჩინური ფინჯნები, ლანგრები, პუნშის სასმისები და სხვა ანტიკვარული ჭურჭელი გამოეფინათ. ერთ დროს ეს ოთახი რეიბრუკების საოჯახო სასტუმრო იყო, მერე – სოფელ სთიფუეისის საფოსტო ოფისის ერთ-ერთი კაბინეტი, ბოლოს კი რეიბრუკების ფირმის მისაღებ ოთახად გადააკეთეს (ფირმას სახელი „საფოსტო ოფისი“ მხოლოდ ფორმალურადღა შემორჩა).

ჯორჯანმა საკუთარ თავზე საუბარი განაგრძო:

- მგონია, თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად ვცხოვრობ, - თქვა მან.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რაც, მისი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და, სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, მზად იყო მუხლებზე ხელების დასატყაპუნებლად, რომ უცებ კედელზე ოთახში შემოსული ადამიანების ჩრდილს მოჰკრა თვალი, მოტრიალდა და...

- ღმერთო ჩემო, ასეთი სასწაულის მომსწრე ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ, - შესძახა განცვიფრებულმა და აღტაცებულმა ჯორჯანმა. მის წინ, ღია კარში ის ჭაბუკი გამოჩნდა, რომელსაც სანაპიროზე გამოელაპარაკა და რომელიც, ტრფობით აღმოდებული, აივანზე გადმომდგარ ქალწულს უმზერდა; ჭაბუკის გვერდით კი, თვით ის ქალწული იდგა. გოგონას უჩვეულო სილამაზე ირგვლივ ყველაფერს აფერმკრთალებდა, ოთახში შემოჭრილ მზის სხივსაც კი. ქალწულს უცხო ადამიანთან მოულოდნელი შეხვედრის გამო ალუბლისფერი ბაგეები ოდნავ გახსნილი, ხოლო წაბლისფერი თვალები ზომამზე მეტად გახელილი დარჩენოდა; აღელვებისგან სუნთქვა აჩქარებოდა. ჯორჯანი ისე მოხიბლა მისმა სილამაზემ, რომ აღტაცებულმა ორივე ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუხლებს დაჰკრა. გოგონა სადად იყო ჩაცმული: კაბა არ იყო შემკული ორნამენტებით, თუ არ ჩავთვლით გულისპირზე ამოქარგულ შემოდგომის ყვავილებს; ქუდის ნაცვლად კი თავსა და კისერზე შარფი მოეხვია და ლამაზად გაენასკვა (გოგონათა თავის შებურვის ასეთი წესი ფართოდ იყო გავრცელებული შემოდგომის ჟამს ინგლისსა და იტალიაში).

კაპიტანი წამოდგა, თავისი სავარძელი გოგონას დაუთმო, მეორე სავარძელი კი, რომელზეც ჭაბუკი უნდა დამჯდარიყო, ამ სავარძლის გვერდით მიაცურა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ამიტომ საჭირო იყო საუბრის წამოწყება ნებისმიერ, თუნდაც განყენებულ თემაზე.

- ჩემს სამშობლოში დევონშირს მთელ მსოფლიოში ულამაზეს მხარედ უნდა ვთვლიდეთ. იგი სავსებით იმსახურებს ამას, - თქვა კაპიტანმა.

ეს უმნიშვნელო კომპლიმენტი ისეთი გულწრფელობით იყო ნათქვამი, რომ მის მიმართ ყველა ნდობით განიმსჯვალა.

კაპიტანი ჯორჯანი მიხვდა, რომ ოთახში შემოსული ახალგაზრდა მებადური ქალბატონ რეიბრუკის შვილი იყო, გოგონა კი მისი საცოლე.

- სანამ თქვენ შემოხვიდოდით, დედათქვენს ვეუბნებოდი, რომ მნიშვნელობა არა აქვს იმას, სად დავიბადე. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ბავშვობიდანვე ვცდილობდი ჭეშმარიტებას, სიმართლე დამედგინა.

მერე მოულოდნელად ხელი მუხლს დაჰკრა და ჭაბუკს შეეკითხა:

- ალფრედი ხომ არ გქვია, ახალგაზრდავ?

- დიახ, სერ, ალფრედი გახლავთ ჩემი სახელი, - მიუგო გაკვირვებულმა ახალგაზრდა მებადურმა (ვერ გაეგო, საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა კაპიტანს მისი სახელი).

- მსურს, იმ არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოგიყვანოთ, რომელშიც თქვენ ახლა იმყოფებით, - თქვა კაპიტანმა. - ეს არაა ადვილი საქმე, მაგრამ თქვენი დახმარებით, მგონია, შევძლებ ამას. ბავშვობიდანვე მიჩვეული ვარ, ჭეშმარიტების დადგენა ადამიანთა გამოკითხვით დავიწყო. მითხარით,

რომელიმე თქვენი ახლობელი წასულია თუ არა საზღვაო ექსპედიციაში?

- ჩემი უფროსი ძმა, ჰიუ გახლავთ წასული, - ხმადაბლა მიუგო ალფრედმა და დედას შეხედა, რომელმაც მისი უფროსი ვაჟიშვილის ხსენებისთანავე მკერდზე ხელები გადაიჭდო და ისეთი თვალებით შეხედა კაპიტანს, თითქოს მისგან ახალი, დამაიმედებელი ინფორმაციის მიღებას მოელოსო.

ჯორჯანმა შეამჩნია ეს და მოღუშულმა უთხრა:

- სამწუხაროდ, დამაიმედებელს ვერაფერს გეტყვით თქვენს შვილზე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონი რეიბრუკი ბუხრისკენ შებრუნდა და სახეზე ხელები აიფარა. ახალგაზრდა მეზადურმა თვალთ ანიშნა კაპიტანს, ფანჯარაში გაეხედა. სკვერის გადაღმა, მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში კაპიტანმა ახალგაზრდა ქალი შენიშნა, რომელსაც მკერდზე ბავშვი მიეხუტებინა და რაღაცას კერავდა. ჯორჯანმა გაიფიქრა: „ეს ალბათ რეიბრუკების დაქვრივებული რძალია“.

სიჩუმე კაპიტანმა დაარღვია:

- როდის გაემგზავრა თქვენი ძმა უკანასკნელ ექსპედიციაში? - ჰკითხა ახალგაზრდა მეზადურს.

- სამი წლის წინ, სერ, - მიუგო ჭაბუკმა.

- გაგონილი მაქვს, რომ ის გემი კლდეს შეეჯახა და დაიმსხვრა, მაგრამ არ ვიცი, ექსპედიციის ყველა მონაწილე დაიღუპა თუ არა.

- ყველა დაიღუპა, სერ.

- გემის ყოფილი კაპიტანი გახლავარ, - თქვა ჯორჯანმა ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, - და ისე კარგად ვფლობ ოკეანის საიდუმლოებას, თითქოს ის ჩემს მუჭაში დაგროვილი წყლის გუბე იყოს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არსებობდა იმის ალბათობა, რომ თქვენი ძმის ბედი გამეზიარებინა; გემი ხომ ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაიძიროს. დიახ, ხიფათი მეზღვაურის ცხოვრების თანამდევია, ამიტომ განსაცდელის ჟამს ერთმანეთის მხარში დგომა ყველა მეზღვაურის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. დარწმუნებული ვარ, შენი ძმა პირნათლად ასრულებდა ამ პირობას.

- რა თქმა უნდა, ჰიუ არასდროს დალატობდა თავის მოვალეობას. ცოტა ზანტი ბიჭი იყო, მაგრამ ერთგულებაში ბადალი არ ჰყავდა. ერთი სიტყვით, კაცური კაცი

გახლდათ. პატიოსნება ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. მამაჩვენი, ერთი უბრალო ადამიანი - წვრილი ვაჭარი გახლდათ, მაგრამ პატიოსნებაში ვერავინ შეედრებოდა. სახელსა და ღირსებას ისე უფრთხილდებოდა, თითქოს საქვეყნოდ ცნობილი, დიდი ადამიანი ყოფილიყო.

- უფრო მეტიც, მამათქვენისნაირი პიროვნებები თვლიან, რომ პატიოსნება ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს ყველასთვის და ამას განსაკუთრებულ ღირსებად არც კი მიიჩნევენ, - თქვა ჯორჯანმა, - თუმცა ბოდიში, მგონი, სიტყვა შეგაწყვეტინეთ.

- ჩემი ძმა ხშირად მეუბნებოდა, მამაჩვენმა პატიოსანი ადამიანის სახელი მემკვიდრეობით გადმოგვცა და ამ სახელს გაფრთხილება უნდაო.

- თქვენი ძმა მართალი იყო; ამაზე უკეთესი მემკვიდრეობა არ არსებობს და

მას მართლაც რომ გაფრთხილება სჭირდება. მაპატიეთ, კვლავ შეგაწყვეტინეთ სიტყვა.

- არა უშავს, მით უმეტეს, რომ უკვე მოგახსენეთ, რაც მქონდა სათქმელი; თუმცა ერთს კიდევ დავუმატებ: მთელი თავისი სიცოცხლე კაცურად იცხოვრა. მისი დაღუპვის დეტალები არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორედ კაცური ღირსების დაცვას შესწირა თავი.

- ჩინებულადაა ნათქვამი, ახალგაზრდავ: „კაცური ღირსების დაცვას შესწირა თავი!“ - თქვა კაპიტანმა ჯორჯანმა, რომელსაც ალფრედთან საუბრისას ხელი უკანკალებდა და მხოლოდ ახლა შეუჩერდა. - მე გარკვეული ინფორმაცია მაქვს თქვენს მძაზე, რომელმაც შეიძლება ნათელი მოჰფინოს მისი დაღუპვის გარემოებას, თუმცა დანამდვილებით რამის თქმა არ შემიძლია. შეიძლება ამაზე ცალკე ვისაუბროთ?

ალფრედი წამოდგა და ჯორჯანთან სასაუბროდ ზემო სართულზე ასასვლელად მოემზადა. მანამდე კი საუბრით გართული ჯორჯანის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, როგორ მიტრიალდა ალფრედის საცოლე, სკვერის გადაღმა მდგარი სახლისკენ გაიხედა და ფანჯარასთან მჯდომ ახალგაზრდა ქვრივს ხელის დაქნევითა და თავის დაკვრით მიესალმა. ქვრივი წამოდგა, კერვა შეწყვიტა და ქალწულის მისალმებას კეთილი ღიმილი შეაგება; მერე თვითონაც

მიესალმა. კაპიტანი წამოდგა, მაგრამ სანამ ალფრედს სასაუბროდ გაჰყვებოდა, იკითხა:

- საინტერესოა, რას კერავს ის ახალგაზრდა ქალი?

- ქითი, რას კერავს მარგარეტი? - ჰკითხა ალფრედმა შეყვარებულს, თან შემთხვევით ისარგებლა და ცალი ხელი მხარზე დაადო, მერე კი შეუმჩნევლად „აკრძალული“ ადგილისკენ - გულმკერდისკენ გადააცოცა.

ქითი წამოწითლდა, მშვენივრად იცოდა, რას კერავდა მარგარეტი, მაგრამ არაფერი უპასუხა, კაპიტნის შერცხვა. ჯორჯანი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოპირდაპირე სახლის ფანჯარასთან მყოფი ახალგაზრდა ქალი რეიბრუკების რძალი იყო, წელში მოიხარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუხლს ხელი დაჰკრა და წამოიძახა:

- ოჰოო, მივხვდი, მივხვდი, ეს ხომ საქორწილო კაბაა!

ჯორჯანმა კვლავ გახედა მოპირდაპირე სახლის ფანჯარას, მოილუშა და ხმადაბლა თქვა:

- ჩემო ძვირფასო ქითი და ძვირფასო ალფრედ! ვხედავ მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში საბრალო ქვრივ ქალს, ხელში დაობლებული ბავშვი რომ აუყვანია; ვუმზერ მას და მოხიბლული ვარ მისი კეთილშობილებით, რადგან საკუთარი უბედურების მიუხედავად, ასე გაითავისა თქვენი ბედნიერება. დარწმუნებული ვარ, ბედნიერების მზე მასაც გაუნათებს და კეთილდღეობით ადავსებს. მახსენდება ჩემი წარსული: ხელმოცარულიც ვიყავი, უბედურიც, მაგრამ ბოლოს ღმერთმა კეთილი თვალით გადმომხედა და დღეს ბედს არ ვუჩივი. ქითის ჯორჯანის სიტყვებმა გული აუჩუყა.

- დიდი მადლობა, სერ! მთელი გულით, სავსე გულით გიძღვნი მადლობას, - უთხრა ჯორჯანს და მადლიერების ნიშნად, ნაზი თითები ჯორჯანის უხეშსა და მზისგან გარუჯულ ხელს მოუთათუნა.

ალფრედმა გააღო სასტუმრო ოთახის კარი და ჯორჯანი სასაუბროდ ზემო სართულზე მიიწვია.

- ოჰ, რა ვიწრო კიბეა! - უთხრა ალფრედმა კაპიტან ჯორჯანს ზემო სართულზე ასვლისას.

- ჩემი კაიუტის კიბეს მაგონებს, - თქვა ჯორჯანმა.

- საკმაოდ მოუხერხებელია, - განაგრძო ალფრედმა, - ასეთ კიბეზე ხშირი ასვლა და ჩამოსვლა თავს აატკივებს ადამიანს.

- მაგისი რა მოგახსენოთ, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, საზღვაო ექსპედიციებში ყოფნისას, იმდენჯერ ამირბენია ასეთ კიბეზე, ამას რომ ჩემს ტვინზე ზემოქმედების მოხდენა შეძლებოდა, აქამდე თავიც გამისკდებოდა.

ალფრედის საძინებელში შევიდნენ. მომცრო ოთახი ერთადერთი ფანჯრით ისეთივე სუფთა და მოვლილი იყო, როგორც სასტუმრო, სადაც ცოტა ხნის წინ იმყოფებოდნენ. ჭერი ორიგინალური ორნამენტებით იყო მოხატული, რომლებიც ისე განელაგებინათ, როგორც უჯრედები ადამიანის თავის ტვინის ზედაპირზე (როგორც ეს ფრენოლოგიის (მოდღვრება ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებენ, რომ თავის ტვინის ზედაპირის თითოეულ ნაწილზე მხოლოდ ერთ გარკვეულ თემაზე აზროვნების უჯრედებია განთავსებული და რომ ეს აისახება თავის ქალის მოყვანილობაზე) მიმდევართ მიაჩნიათ). კედლები მოხეტიალე მხატვრის მიერ ქითის პორტრეტებით იყო მოხატული და საკმაოდ მდარე ხარისხის ნამუშევარი გახლდათ. კაპიტანი საწოლთან ჩამოჯდა და ამ პორტრეტების თვალთვლით დაიწყო. ისეთი გულმოდგინებით ათვალთვლიდა, გეგონებოდათ, ხომალდის ცხვირის დასამშვენებელ სკულპტურულ ფიგურას არჩევსო. მერე ზამბუკის სავარძელი მომცრო, მრგვალ მაგიდასთან მიაჩოჩა და ახალგაზრდა მეზადურის პირდაპირ დაჯდა, უბიდან პატარა ბოთლი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ისე, რომ ხელი არ

გაუშვია ბოთლისთვის, დაიწყო იმის მოყოლა, რამაც იგი ჭაბუკ მეზადურთან მიიყვანა.

- აქ მოსვლამდე ჩემს ბოლო საზღვაო ექსპედიციაში გახლდით, - დაიწყო კაპიტანმა. - გზაში ისეთი ძლიერი ქარიშხალი დაგვატყდა თავს, როგორსაც ჩემი ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობის განმავლობაში არასოდეს შევხვედრივარ. სამხრეთი ამერიკიდან ლივერპულისკენ მივცურავდით. ექსპედიციის მარშრუტი ერთი ისეთი კონცხის გარშემოვლას ითვალისწინებდა, რომელიც ძლიერი ქარიშხლებითაა ცნობილი. ბევრჯერ მიწვნივია ამ ქარიშხალთა რისხვა, მაგრამ მათთან ჭიდილში ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი. ამჯერად კი ვეღარ გავუძელი მის დამანგრეველ ძალას. ქარიშხალმა, რომელიც ტორნადოში (ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული მძლავრი, დამანგრეველი გრიგალი) გადაიზარდა, კონცხზე პირისაგან მიწისა ალგავა ყოველივე, გემს კი ისეთი ძალით შეუტია, რომ არ გვეგონა, თუ გადავრჩებოდით. ტორნადო, როგორც იქნა,

ჩაცხრა და ზღვაც დაწყნარდა; ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ უცნაურმა, არაბუნებრივმა მდუმარებამ დაისადგურა ზღვაზე. გემი გადარჩა, მაგრამ კურსს ასცდა და რაღაც დინებამ გაიტაცა, რომელიც რამდენიმე დღე გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებდა მას. მშვენივრად მესმოდა, რომ მე, როგორც გემის კაპიტანს, რომელიც პასუხს აგებს ეკიპაჟის წევრთა სიცოცხლეზე, შეცდომის უფლება არ მქონდა. მაქსიმალურად უნდა მომეხდინა მთელი ჩემი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზება და სწორი გადაწყვეტილება მიმეღო. ვიცოდი, ხიფათი რომ გველოდა, რადგან დინება, ჩემი ვარაუდით, რომელიდაც უცნობი კუნძულისკენ მიგვაქანებდა (იმ ადგილას რუკაზე არავითარი კუნძული არ იყო აღნიშნული), რომლის კლდოვან ნაპირსაც შეიძლებოდა შევეჯახებოდით ან კიდევ

მეჩეჩზე „დავმჯდარიყავით“. ანძაზე ავედი და გულმოდგინედ შევუდექი ჩვენ წინ გადაშლილი ზღვის ტრამალის დათვალიერებას. ჩემი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა – უცნობი კუნძულისკენ მივექანებოდით. კუნძულის ნაპირის ნაწილი კლდოვანი იყო, ზოგან კი რიფებიც შეინიშნებოდა. ანძიდან შევძელი დამედგინა, თუ სად შეიძლება ღუზის ჩაშვება და ნავით კუნძულზე გადასვლა. ბრძანება გავეცი, ჯერ ღუზა ჩაეშვათ, შემდეგ კი – ნავი, რომელშიც რამდენიმე შეიარაღებულ მეზღვაურთან ერთად უნდა ჩავმჯდარიყავი და ნაპირზე გადავსულიყავი. ნაპირთან მიახლოებისას წყლის ზედაპირზე მოტივტივე, წყალმცენარეებში გახლართული ეს ბოთლი ვიპოვე.

კაპიტანმა ხელი შეუშვა ბოთლს, ალფრედს რომ შეძლებოდა მისი დათვალიერება, მერე აიღო ხელში, საცობს წყალგაუმტარი ქაღალდი შემოხსნა და განაგრძო:

– როცა უკაცრიელსა და უცნობ ადგილას იმყოფები, ყურადღებით უნდა დაათვალიერო იქაურობა, გაამახვილო მზერა და გონება, რათა ყველაფერი შეამჩნიო და შეისწავლო, რასაც კი შეხვდები, რადგან იქ ნანახი ყოველივე წვრილმანიც კი შეიძლება შენთვის სასარგებლო ინფორმაციას შეიცავდეს. სწორედ ამ პრინციპმა მაპოვნინა წყალმცენარეთა შორის მოტივტივე ეს ბოთლი. ბოთლი ავიღე და მეზღვაურებთან ერთად ნაპირზე გადავედი. სასწრაფოდ გავეშურეთ კუნძულის დასათვალიერებლად. დათვალიერებისას თვალში გვეცა გადამწვარი ხეები (ჩემი აზრით, კუნძულის მთელი მცენარეული საფარი ხანძარს უნდა გაენადგურებინა).

– მიშველეთ, ამომიყვანეთ ამ საშინელებიდან! ორმოში ჩავვარდი, ძვლებზე ვდგავარ, – მოგვესმა ჩვენი ერთ-ერთი მეზღვაურის ხმა, რომელიც სიარულისას ოდნავ ჩამოგვრჩენოდა.

ჩვენი მეგობარი ორმოში მკერდამდე ჩავარდნილიყო. ამოვიყვანეთ, ფეხზე დავაყენეთ. მერე ორმოს ფსკერი გავთხარეთ: მართლაც ადამიანის ძვლებითა და ნაცრით მოფენილი აღმოჩნდა. რამდენი ადამიანის ძვალი იყო, ვერ გეტყვით, რადგან წერაქვს თავის ქალები არ ამოჰყოლია; ეტყობოდა, ძალიან ღრმად იყო მიწაში ჩაფლული (ჩემი ცოდნა ანატომიაში არ არის ისეთი დიდი, რომ ამოყოლილი ძვლებისა და ნაცრის რაოდენობით შემძლებოდა დაღუპულ ადამიანთა რაოდენობის დადგენა). მთელი კუნძული მოვიარეთ, მაგრამ საყურადღებო მეტი ვერაფერი ვნახეთ (თავს არ შეგაწყენთ ყველა იმ წვრილმანის მოყოლით, რაც ჩემს სამუშაო წიგნში მაქვს შეტანილი). კუნძულზე ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა და გადავწყვიტე, გემზე დავბრუნებულიყავი. დაბრუნებისთანავე ჩემს კაიუტაში განვმარტოვდი, ბოთლს მჭიდროდ შემოხვეული წყალგაუმტარი ქაღალდი შემოვახიე და გავხსენი. ყუთში ეს წერილი აღმოჩნდა.

ეს თქვა და კაპიტანმა ბოთლიდან დაკეცილი წერილი ამოიღო. მერე განაგრძო:

– წერილი არ გამიხსნია, რადგან მისი ავტორი გარეთა მხარეზე შესრულებულ მინაწერში მთხოვდა, არ წამეკითხა იგი. აი, ეს მინაწერიც!

ალფრედმა დახედა მინაწერს, რომელიც დაღადებდა:

„კეთილო მოგზაურო! როცა ამ წერილს იპოვი, მე უკვე აღარ ვიქნები ცოცხალი. გთხოვ, ადასრულო შენი მოქალაქეობრივი ვალი და პატივი მიაგო ჩემს სულს. თავად წერილს ნუ წაიკითხავ და ის ალფრედ რეიბრუკს გადაეცი. მისი მისამართია: ინგლისი, ჩრდილო დევონი, სთიფუეისი“.

– უაღრესად კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი მიცვალებულის თხოვნის შესრულება. აჰა, ინებე ეს წერილი, – დაასრულა კაპიტანმა სათქმელი და

წერილი ალფერდს გადასცა.

- მინაწერი ჩემი საწყალი ძმის მიერაა შესრულებული. ეს მისი ხელწერაა! - ამოიკვნესა ალფრედმა.

- მეც ასე ვფიქრობ, - თქვა კაპიტანმა. - წაიკითხე, გეთაყვა, წერილი. მე კი ამასობაში მოპირდაპირე ფანჯარას დავათვალიერებ.

- არა, ღვთის გულისათვის, არა! - შეევედრა ალფრედი, - მხოლოდ თქვენთან ერთად წავიკითხავ ამ წერილს. ჩემს ძმას რომ სცოდნოდა, თქვენისთანა კაცის ხელში მოხვდებოდა ეს წერილი, თანახმა იქნებოდა, მის შინაარსს გასცნობოდათ.

ჯორჯანი საწოლთან ჩამოჯდა. ალფრედმა გამალა წერილი და მაგიდაზე დადო. ძნელი იყო წერილის წაკითხვა, რადგან ძალიან დაჭმუჭნილი და დაზიანებული გახლდათ. ეტყობოდა, ქალაქი, რომელზეც ის დაიწერა, თავიდანვე დაჭმუჭნილი და ნახევრად დახეული იყო (ალბათ ავტორმა სხვა ვერ იშოვა). გარდა ამისა, იგი რამდენიმე ადგილას მელნით იყო დალაქავებული, რის

გამოც ზოგიერთი სიტყვა არ იკითხებოდა. ზუსტი შინაარსის დასადგენად ჯორჯანმა და აღელვებულმა ალფრედმა წერილი მრავალჯერ გადაიკითხეს.

რამდენადაც ნათელი ხდებოდა წერილის შინაარსი, ალფრედის აღელვებაც მატულობდა. ბოლოს ვედარ გაუძლო ემოციურ სტრესს, წერილის კითხვას თავი დაანება და გაოგნებული მაგიდაზე პირქვე დაემხო. კაპიტანმა თავისი სავარძელი ალფრედთან მიაჩოჩა და, თანაგრძნობის ნიშნად, მხრებზე მოხვია ხელი.

- რაღაც უნდა იღონო, - უთხრა ალფრედს, - მედგრად იყავი და იმოქმედე, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს შეშვენის!

- რა უნდა ვქნა, რისი გაკეთება შემიძლია? - მიუგო სასოწარკვეთილმა ალფრედმა.

- უნდა იმოქმედო-მეთქი, თუნდაც უაზროდ! ზოგჯერ უაზრო ქმედებასაც აქვს აზრი, რადგან მან შეიძლება ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე დააყენოს კაცი. ერთი ძველი ლათინური ანდაზა გვეუბნება: „არაფრის შედეგი მხოლოდ არაფერია“. სანამ ღმერთი სამოთხიდან განდევნიდა, ადამს არ შეეძლო ჭეშმარიტების შეცნობა, რადგან უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა. ამ მხრივ იგი არ განსხვავდებოდა იმ ცხოველებისგან, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ სამოთხეში.

ჯორჯანი ხედავდა, რომ მიუხედავად მისი ამ ბრძნული შეგონებისა, ალფრედი არ იყო მზად, დაუყოვნებელი მოქმედებისთვის; გრძნობდა, საამისოდ რაღაც მიზეზი არსებობდა.

- მიდი, ალფრედ, მიდი! მაგრამ ყოყმანს გამჩნევ, რაშია საქმე?

- ხომ ნახეთ, რა ლამაზია ქითი, სერ? - თქვა ალფრედმა და წამით წამოწითლდა, შერცხვა, საკუთარ საცოლეს რომ აქებდა.

- ლამაზი კი არა, ულამაზესია, - მიუგო კაპიტანმა, - მსოფლიოში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ქითის მშვენიერება არ მოხიბლავდა.

ალფრედს ქათინაური ესიამოვნა, გაუღიმა. მერე გაიფიქრა, მეტისმეტი სენტიმენტალობა არ დამწამოსო და უთხრა:

- არ იფიქროთ, სერ, რომ უნარი არ შემწევს, ცოტა ხნით დავშორდე ქითის.

- მაშ, რაშია საქმე? - იკითხა კაპიტანმა.

ალფრედი მოიდუშა:

- საქმე ის არის, რომ მომავალ ორშაბათს უნდა დავქორწინდეთ.

- უნდა დაქორწინდეთ? - შეაწყვეტინა ჯორჯანმა, - ხომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც იძულებულნი ხართ, დააჩქაროთ ქორწინება?

ახალგაზრდა რეიბრუკმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მერე წერილს დახედა და ხმამაღლა წაიკითხა მისი უადრესად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი: „საწყალი მამაჩვენის ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი“.

- ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი, - გაიმეორა კაპიტანმა, - საინტერესოა, რა თანხაა ეს.

- ეს ის თანხაა, - განაგრძო ალფრედმა სერიოზული ტონით, - რომელიც განსვენებულმა მამაჩვენმა დაგვიტოვა. გარდაცვალებამდე ყველა მოვალე გაისტუმრა და მხოლოდ ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის დატოვება შეძლო.

ჯორჯანი ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდა მეზღვრს.

- ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი! - კვლავ გაიმეორა ჯორჯანმა.

- მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებდა ამ თანხას დედაჩემისთვის დასატოვებლად და ოჯახის ხარჯების გასტუმრებასაც ახერხებდა.

- მართლა?

- არასოდეს აბანდებდა ფულს ბიზნესში. მხოლოდ ერთხელ გაბედა და არ გაუმართლა. მერე აღარც უცდია.

- პატიოსანი კაცი ყოფილა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ასეთი კაცი ჩვენთან, ამერიკაში, თავს ვერ გაიტანდა, - თქვა კაპიტანმა.

- დედაჩემი ამ ფულს ხელს არ ჰკიდებდა, უკიდურესი საჭიროებისთვის ინახავდა. მხოლოდ ახლა გადაწყვიტა მისი გამოყენება თევზის სარეწ მეურნეობაში წილის ჩასადებად იმ მიზნით, რომ ჩემი და ქითის მომავალი ცხოვრება უზრუნველყოს.

კაპიტანს დაბნეულობა დაეტყო და მზისგან გარუჯული ხელი რამდენჯერმე გადაისვა შეთხელებულ თმაზე.

- ქითის მამა ხელმოკლე კაცია, - განაგრძო ალფრედმა, - ჩვენსავით მოკრძალებულად ცხოვრობს; მმართველად მუშაობს აქვე, ჩვენ მარჯვნივ მდებარე პატარა დაწესებულებაში. ერთ დროს შეძლებული კაცი იყო და რომ არ გაღარიბებულიყო, ქითის ბედს ძალიან არ დაჰყევდა.

კაპიტანი წყნარად იჯდა და თავისი თმის „დაუთოებას“ განაგრძობდა; ეტყობოდა, რაღაც აზრი აწვალებდა, რაღაცას აანალიზებდა. ალფრედი კი განაგრძობდა:

- ღრმად ვარ დარწმუნებული, საწყალ მამაჩემს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მის მიერ გაცემული ვალის ასანაზღაურებლად დაბრუნებული ფული უპატიოსნო გზით იქნებოდა ნაშოვნის. ახლა კი, როცა დასაღუპად განწირული ჩემი

მმის წერილი წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მამაჩემს მოპარული ფული დაუბრუნეს. მე არა მაქვს ამ ფულის დახარჯვის მორალური უფლება.

- მამაშენს რომ მოპარული ფული დაუბრუნეს, ამაში მეც დარწმუნებული ვარ; იმაში კი ვერ დაგეთანხმები, რომ საქმის გამოსწორება შეუძლებელია და არ შეგვწევს უნარი, ქურდს მოპარული ფული ვაზღვევინოთ, - თქვა კაპიტანმა.

- ოჰ, როგორ დამამწუხრა ამ ამბავმა! როგორ გავუმხილო ეს ქითის?

ალფრედს გული შეეკუმშა, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და ის იყო, უიმედობის მორევში აპირებდა ჩაძირვას, რომ დროზე გამოფხიზლდა და ჯორგანს მტკიცე, ოპტიმიზმით აღსავსე ტონით განუცხადა:

- გეთანხმები, კაპიტანო! მოქმედება საჭირო. თქვენ მე რწმენა ჩამინერგეთ, გამამხნევეთ და ბრძნული დარიგებები მომეცით. ამისთვის დიდი მადლობა. ყოველივე ეს ამაოდ არ ჩაივლის, მე ვიმოქმედებ! მეტიც, თქვენი დახმარებით ამ წერილიდან უკვე რაღაცის დადგენა შევძელი. თქვენ ეს უანგაროდ გააკეთეთ, კეთილი ნებით. მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც უანგაროდ ათასობით კილომეტრს გადალახავდა, მისთვის უცნობ ადამიანს მიუტანდა წერილს და დაეხმარებოდა ამ წერილის გაშიფვრაში. რადგან უკვე ამდენი სიკეთე მომმადლეთ, მამაჩემისა და ჩემი ძმის ხსოვნისთვის, დედაჩემის, ჩემი ქითისა და ჩვენი მომავალი შვილების ბედნიერებისთვის, გთხოვთ, ეს საქმე ბოლომდე მიმაცვანინოთ. უპირველესად, ბოლომდე უნდა გავშიფროთ წერილი. მაგრამ მარტო წერილის გაშიფვრა არაა საკმარისი, გთხოვთ, დამეხმაროთ ამ საქმის გამოძიებასა და ჩვენთვის მოცხებული ჩირქის ჩამორეცხვაში.

- მე თანახმა ვარ, მაგრამ ჩემი თანხმობა არაა საკმარისი; ქვემო სართულზე მყოფი ადამიანების თანხმობაცაა საჭირო. მათ სურვილს წინ ვერ აღვუდგები.

კაპიტანმა და ახალგაზრდა მებაღურმა განაგრძეს წერილის გაშიფვრა.

- მე მგონი, ამ ადგილას ფრაზა ასე უნდა იკითხებოდეს: „გამოჰკითხავ იქ მცხოვრებ უხუცეს ადამიანებს...“, - თქვა ჯორგანმა და თითო დაადო წერილის იმ

ადგილს, სადაც ეს ფრაზა ეწერა, - აქ კი ასე: „უნდა წახვიდე ამ წერილში მოხსენიებულ სოფელში...“

- ეგებ ბატონი თრეგართენი დავიხმაროთ. იგი წარმოშობით კორნუოლიდანაა (კორნუოლი - რეგიონი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში), თუ არ ვცდები, სწორედ ლანრენიდან, წერილში მოხსენიებული სოფლიდან, - თქვა ალფრედმა.

- საინტერესოა! - თქვა კაპიტანმა, - მაგრამ ვინ არის, მე მას არ ვიცნობ.

- ის ქითის მამაა.

- აუუ! - შეჰყვირა ჯორგანმა, - რას ამბობ! საინტერესოა, თუ ახსოვს მშობლიური სოფელი.

- ეჭვგარეშეა, ახსოვს, - მიუგო ალფრედმა, - ჩემთან საუბრისას ხშირად ამ სოფელს მშობლიურ კუთხედ მოიხსენიებდა ხოლმე. ნამდვილად კარგად ახსოვს.

- ერთი წუთით შეჩერდი, მომისმინე! - შეაწყვეტინა კაპიტანმა, - ჩვენ გვჭირდება იმ სოფლის თუნდაც ერთი მკვიდრის სახელი. შეგიძლია ჰკითხო ბატონ თრეგართენს, ახსოვს თუ არა იმ სოფლის უხუცეს მკვიდრთა სახელები? თუ გერიდება, მე შევეკითხები.

- ახლავე შემიძლია წავიდე მასთან კოტეჯში და ვკითხო.

- ერთად წავიდეთ, - თქვა კაპიტანმა და ისე სწრაფად წამოდგა, იგრძნობოდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მხარში ამოსდგომოდა ახალგაზრდა მებადურს.

- ოღონდ, მასთან საუბარს, ძირითადად, მე წარვმართავ, - განაგრძო ჯორგანმა, - ასაკით შენზე უფროსი ვარ და ცხოვრებისეული გამოცდილებაც მეტი მაქვს. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვაო მოგზაურობებსა და ექსპედიციებში გავატარე. რა ჯურის ადამიანებს არ შევხვედრივარ. მათთან ურთიერთობამ იმდენი მასწავლა, მნელია, რამე შემეშალოს. მიუხედავად იმისა, რომ შენი მომავალი სიმამრია, მასთან საუბრისას ჩვენ ერთ გუნდს უნდა წარმოვადგენდეთ.

ჯორგანმა ფრთხილად დაკეცა წერილი, ჩადო ბოთლში, დააცო საცობი, საცობს წყალგაუმტარი ქალაღი შემოახვია და ალფრედს გადასცა. მერე ოთახიდან გამოვიდა და დაღმავალი კიბით ახალგაზრდა მებადურს ქვემო სართულისკენ გაუძღვა.

გაცილებით მნელი აღმოჩნდა საქმის მოგვარება ქვემო სართულზე. როგორც კი სასტუმრო ოთახში შეაბიჯეს, იქ მყოფთა შემფოთებულ მხერას წააწყდნენ.

- ალფრედ! რაშია საქმე? - ჰკითხა პანიკით მოცულმა ქითიმ და შეყვარებულს ეცა.

ქალბატონმა რეიბრუკმა კი შეჰღაღადა:

- მოწყალეო ხელმწიფე! რა უთხარით ისეთი ჩემს შვილს, რომ თქვენთან შეხვედრამდე სიცოცხლით სავსე და ხალისიანი, ახლა ასე დაღვრემილი გამოიყურება?

ცოტა ხნის წინ ჩვილ ბავშვთან ერთად ოთახში შემოსული რეიბრუკების დაქვრივებული რძალი ისე აღელდა, ეს აღელვება ბავშვსაც გადაედო და ატირებულმა, დედის კალთაში ღრმად ჩარგო თავი. ჯორგანმა თავი უხერხულად იგრძნო: სიკეთისთვის მოვიდა ამ ოჯახში, ჯერჯერობით კი მხოლოდ აურზაური და მწუხარება შემოიტანა.

- ქითი, ძვირფასო, ჩემო სიყვარულო! - უთხრა ქითის ალფრედმა, - სასწრაფოდ ლანრენში უნდა გავემგზავრო. არ ვიცი, როდის დავბრუნდები. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ქორწილის გადადება მოგვიწევს.

ქითის ელდა ეცა, განცვიფრებით მიაჩერდა ალფრედს. მერე განრისხებულმა ხელი ჰკრა.

- რაოო! - დაიყვირა ქალბატონმა რეიბრუკმა, - ქორწინება უნდა გადავდოთო? ლანრენში მივემგზავრებო? ღვთის გულისთვის, მითხარი, რატომ?

- ძვირფასო დედა, დედიკო! არ შემიძლია ამის თქმა. უზნეობა და საქმისთვის საზიანო იქნებოდა ახლა ეს.

- უზნეობა და საქმისთვის საზიანო ისაა, - მკაცრად შეაწყვეტინა ქალბატონმა, - რომ გადადო ქორწინება საყვარელ ადამიანთან, დაკოდო დედის გული და ეს ყველაფერი იმ ფარულ ზრახვებს ანაცვალო, რის შესახებაც ზემოთ გამართე მოლაპარაკება ამ საეჭვო უცხოელთან.

მერე კაპიტანს მიუბრუნდა:

- ვინ ხართ თქვენ, უცხოელო? საიდან მოხვედით? რატომ ვერ დაეტიეთ თქვენს საკუთარ სამშობლოში? რისთვის მოხვედით ჩვენთან, აგვაფორიაქეთ და დაგვირღვიეთ მშვიდი ცხოვრება?

საბრალო ქითიმ კი ამოიკვნესა:

- წყეულო კაპიტანო! ისეთი რა დაგიშავე, რომ შეყვარებულს მართმევ?
რისთვის სჩადიხარ ასეთ ბოროტ საქციელს?

შემდეგ ორივე ერთად გულსაკლავად ატირდა. საბრალო ჯორგანმა ჯერ ერთს შეხედა, მერე – მეორეს; ბოლოს კი დამნაშავესავით თავი დახარა.

ალფრედი მუხლებზე დაეცა ატირებული სატრფოს წინაშე, რომელმაც ხელები სახეზე აიფარა, თავის „მოდალატე“ შეყვარებულს მისი სახე რომ არ დაენახა. ალფრედმა დაქვრივებულ რძალს დაუჩოქა და შეევედრა:

- მარგარეტ! ბედმა დიდი ტანჯვის გადატანა გარგუნა, საყვარელი მეუღლე დაკარგე. ემოციის დათრგუნვა სხვებზე მეტად შენ შეგიძლია. ეგებ შენ მაინც გამიგო; ჰიუს ხსოვნისთვის, ჩვენი სიყვარულისთვის დამიჭირე მხარი, გეთაყვა.

- მე მესმის შენი, - აუღელვებლად მიუგო მარგარეტმა, - მესმის და მხარს გიჭერ. უმჯობესი იქნებოდა, ეს უცხოელი ჯენტლმენი არ ჩამოსულიყო ჩვენთან, მაგრამ მზად ვარ, მასაც გაუუგო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც არ შეგიძლიათ საიდუმლოს გამხელა. შენ კი, ძვირფასო ქითი, ყველაფერი, რაც მოხდა, შეყვარებულის თვალთ უნდა განსაჯო; სიყვარული კი ნდობასაც გულისხმობს, რწმენასა და ნდობას საყვარელი ადამიანისადმი. ქალბატონო რეიბრუკ, ჩემო დედა, შენ ხომ კეთილშობილ ადამიანებად აღზარდე შენი შვილები, ხომ ჩაუნერგე პატიოსნება და სამართლიანობა. მაშ, რატომ არ უნდა ენდო ალფრედს? მე კი, შენი გარდაცვლილი შვილის ქვრივს, მჯერა მისი, გვერდით ვუდგავარ და მხარს ვუჭერ.

კაპიტანმა შვებით ამოისუნთქა.

- იმის მიუხედავად, თუ რა აზრის ხართ ჩემზე, - ჩამოართვა სიტყვა ჯორგანმა, - გაჭირვებისას თქვენისთანა ახალგაზრდა ქალის მხარში დგომას ვარჩევდი ბევრი იმ მამაკაცის მხარდაჭერას, რომლებთანაც კი ოდესმე საქმე მქონია.

მარგარეტმა ამ ქათინაურს არ უპასუხა, თუმცა ფრიად ნასიამოვნები დარჩა და მადლობა იმით გადაუხადა, რომ ქითი და ქალბატონი რეიბრუკი დაამშვიდა, მერე კი მოუწოდა მათ, ქორწილის გადადებას შეჰგუებოდნენ.

- ქითი, ძვირფასო! ახლა მამაშენთან ვაპირებ წასვლას. მინდა, ზოგიერთი რამ გამოვკითხო იმ საიდუმლოს შესახებ, რომელსაც ჯერ ვერ ვამხელ და რომელიც სოფელ ლანრენტანაა დაკავშირებული. წამომყვები თქვენს სახლში, მამასთან?

ქითი ზღაპრითა და ოხვრით წამოდგა, გაისწორა თვალელებზე ჩამოფხატული შარფი და ალფრედთან ერთად ოთახიდან გავიდა. მათ ჯორგანიც გამოჰყვა, რომელიც გამოსვლისთანავე საოჯახო ფირმის მაღაზიაში შევიდა და იქ მყოფ პეტიფერს უბრძანა:

- ტომ, სასტუმრო ოთახში მოხუცი ქალბატონი და ახალგაზრდა, ბავშვიანი ქალია. ყურადღებას ნუ მოაკლებ მათ! ქალბატონი უხასიათოდაა, ეცადე, გაამხნევო!

პეტიფერმა მორჩილად დაუკრა თავი. მერე მკვირცხლად ჩაირბინა კიბე, ფეხაკრეფით შევიდა ოთახში და მისთვის დამახასიათებელი თავაზიანობითა და ხალისით მსახურის როლის შესრულებას შეუდგა. კაპიტანმა, რომელმაც

შეყვარებულ წყვილთან ერთად ოდნავ დააყოვნა კიბეზე ჩამოსვლა, შემინული კარიდან თვალი მოჰკრა, რომ პეტიფერს უკვე მოესწრო დაკისრებული მოვალეობის შესრულება: ბავშვი ხელში აეყვანა, მჯდომარე ქალბატონ რეიბრუკის წინ დახრილიყო და რაღაცას ეუბნებოდა (ალბათ ამშვიდებდა).

– ვერ წარმომიდგენია, როგორ შეძლებს პეტიფერი ქალბატონ რეიბრუკის დამშვიდებას, მან ხომ არ იცის, რატომაა იგი დამწუხრებული. – უთხრა კაპიტანმა

შეყვარებულებს, როცა ისინი რეიბრუკების სახლიდან გამოდიოდნენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ქვის საფეხურები ერთადერთი გზა იყო სოფელში. ალფრედი, ქითი და ჯორჯანი დაღმა მიუყვებოდნენ ამ საფეხურებს თრეგართენის საცხოვრებლისკენ, რომელიც რეიბრუკების სახლს ქვემოთ მდებარეობდა. ქითი და ალფრედი წინ მიდიოდნენ, ჯორჯანი კი მათ მოშორებით მიჰყვებოდა. ალფრედი დაღვრემილი გამოიყურებოდა, ქითის კი ცრემლები ახრჩობდა. სახლების წინ მოფუსფუსე სოფლელები და ქვის კიბეზე სოფელში ამავალი თუ სოფლიდან ჩამავალი მგზავრები შეჰყურებდნენ ამ სამეულს და გრძნობდნენ, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა. მაგრამ მათი მზერა, ძირითადად, ჯორჯანისკენ იყო მიპყრობილი, რომელიც ამ ცუდის შემოქმედად მიაჩნდათ (იგი ხომ უცხოელი იყო). როცა ჯორჯანმა თრეგართენის ბაღის ჭიშკარს მიაღწია, ქითი

და ალფრედი უკვე მასთან იყვნენ: თვალცრემლიანი ქითი თავის ოთახში განმარტოებულიყო და ფანჯრიდან უმზერდა ბაღში მოსაუბრე მამამისსა და ალფრედს. კაპიტანი კი ერთხანს ჭიშკარში იდგა და იქიდან აკვირდებოდა მათ.

ბატონ თრეგართენს მოხუცს ვერ უწოდებდით, თუმცა ჯანმრთელობა საკმაოდ შერყეოდა და მოხუცებულს ჰგავდა. საკმაოდ კეთილგანწყობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ყოველთვის მზად იყო, კეთილი საქმეები ეკეთებინა. თავდაპირველად საუბარი მხიარულად მიმდინარეობდა – თრეგართენი დროდადრო ხუმრობდა კიდეც. მერე კი თანდათანობით დაიძაბა; ეტყობოდა, მოსაუბრეები ერთმანეთს არ ენდობოდნენ. კაპიტანმა გადაწყვიტა, საუბარში ჩარეულიყო. მიუახლოვდა და თრეგართენს მიესალმა:

– დილა მშვიდობისა, სერ. ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: ალფრედის სტუმარი გახლავართ.

– ამ ჯენტლმენს სრულ ნდობას ვუცხადებ და მსურს, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს საუბარში, – თქვა ალფრედმა.

თრეგართენი უნდობლად შეხვდა კაპიტანს.

– ბოდიში, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, – თქვა მან.

– თქვენი ჩემდამი უნდობლობა იმაზეც მიგვანიშნებს, თუ როგორა ხართ განწყობილი იმ საკითხის მიმართ, რის შესახებაც საუბრობთ. – მიუგო კაპიტანმა,

– მაგრამ, არა უშავს, ვიმედოვნებ, საუბრის მსვლელობაში ჩემზე შეხედულებასაც შეიცვლით და საუბრის თემისადმი თქვენს პოზიციასაც.

– არა მგონია, – თქვა თრეგართენმა.

– მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასე მოხდება, თუმცა ახლა თქვენ ეს არ გსურთ. ბატონო თრეგართენ, ჩვენ ახლა ისეთ ასაკში ვართ, როცა ადამიანები დარბაისლურად, სიმართლის ძიების წყურვილით წყვეტენ საკითხებს და არა ზედაპირულად, ემოციების ტყვეობაში მყოფნი. განა საკუთარ თავზე არ გიწვნივით უსამართლობა?! თუ არ გიწვნივით, ბედნიერი ადამიანი

ყოფილხართ. თუ გიწვნივით, მაშინ თქვენც ვალდებული ხართ, სხვის მიმართ ჩადენილ უსამართლობასაც ებრძოლოთ.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გატეხა თრეგართენი.

- სერ, მთელი ჩემი ცხოვრება სიმართლის ძიებაში გავატარე, - თქვა მან.

- სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა, - მოლბა ჯორგანი. - მაპატიეთ თქვენი პიროვნების არასწორი შეფასება. ბატონო თრეგართენ, აქ, თქვენ წინაშე ვიმყოფებით თქვენი ერთადერთი ქალიშვილის საქმრო და, ჩემი სახით - ადამიანი, რომელიც მისი ცხოვრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საიდუმლო ინფორმაციას ფლობს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ჭეშმარიტი ინფორმაციაა და არა შეთხზული და იგი, თქვენი სასიძოს გარდა, არავისთვის გამინდვია; ეს ინფორმაცია მას სიმართლის ძიებაში დაეხმარება. ამიტომ გთხოვთ, დაგვისახელოთ სოფელ ლანრენის ორი ან სამი მკვიდრი უხუცესის სახელი.

ჯორგანმა ჯიბიდან ამოიღო უბის წიგნაკი და ფანქარი, რათა ჩაენიშნა ის სახელები, რომლებიც თრეგართენს უნდა დაესახელებინა. მერე უბის წიგნაკის პირველივე გვერდი ამოხია და გაუწოდა.

- ამ ფურცელზე ჩაწერილია ჩემი სახელი და მისამართი: „სილას ჯონას ჯორგანი, სალემი, მასაჩუსეტსი, შეერთებული შტატები“. თუ ოდესმე მოხვდებით

შეერთებულ შტატებში, გთხოვთ, მესტუმროთ. შეგიძლიათ მოხვიდეთ ნებისმიერ დღეს, დილის საათებში. მოხარული ვიქნები თქვენი სტუმრობით. ახლა კი გთხოვთ, მიკარნახოთ უხუცესთა სახელები, - თქვა ჯორგანმა.

- ყველაზე უხუცესი მათ შორის, ვისაც ვიცნობდი, გახლავთ დევიდ ფოლრეთი, - მიუგო თრეგართენმა, - თუმცა იგი ალბათ ცოცხალი აღარაა.

- მიცვალებული, რა თქმა უნდა, ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოგვიჩენს, - თქვა კაპიტანმა.

- გვარი მეორე უხუცესისა, რომელსაც ვიცნობდი, გახლავთ ფენრევენი, სამწუხაროდ, მისი ნათლობის სახელი არ მახსოვს.

- არა უშავს, გვარიც საკმარისია, - თქვა ჯორგანმა, - ფენრევენი, - გაიმეორა თავისთვის და უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

- ვიცნობდი აგრეთვე ჯონ თრეჯერს.

- ლამაზი გვარია, - თქვა კაპიტანმა, - ჯონ თრეჯერი, ჩანიშნულია.

- მახსოვს მოხუცი ფარვისიც. სამწუხაროდ, მეტი არავინ მახსოვს.

- ნაცნობი გვარია, - თქვა ჯორგანმა, - ნიუ-იორკში ვინმე ერსონ ფარვისი, ქსოვილების მაღაზიის მეპატრონე, იმით გამდიდრდა, რომ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით საკუთარი სახლი გადაწვა. მამ ასე: დევიდ ფოლრეთი (ეგებ ცოცხალი იყოს), ფენრევენი, ჯონ თრეჯერი და ფარვისი.

- მეტს ვერავის ვიხსენებ, - გაიმეორა თრეგართენმა.

- დიდი მადლობა, - თქვა კაპიტანმა, - ბატონო თრეგართენ, თქვენმა პიროვნებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ისევე როგორც თქვენმა ქალიშვილმა, „დევონშირის ყვავილმა“ - ქითიმ. კარგად ბრძანდებოდეთ, მეგობრად მიგულეთ!

ახალგაზრდა მებადურმა და კაპიტანმა ჯორჯანმა დატოვეს თრეგართენის სახლი. ალფრედი დანადვლიანებული იყო, რადგან ქითი არ ჰყავდა გვერდით. ის მამასთან დარჩა.

- აი, რას გეტყვი, ალფრედ! - უთხრა კაპიტანმა, - ამჟამად შენს ოჯახში ისეთი

ვითარებაა, რომ ჩემი იქ მისვლა გაუმართლებელია, ამიტომ აქვე, პატარა სასტუმროში დავბინავდები, შენ კი წადი სახლში, ისადილე და ორ საათზე შევხვდეთ ერთმანეთს. სასტუმროს შესასვლელთან დაგელოდები და შენს მოლოდინში სიგარას გავაბოლებ. ტომ პეტიფერს, ჩემს მსახურს გადაეცი, ზუსტად შეასრულოს ჩემი მითითებები და, ვიდრე დავბრუნდებოდეთ, ღირსეულად მოემსახუროს დედაშენს, ქვრივ რძალსა და ბავშვს. თავად დარწმუნდები, რომ იგი უაღრესად სასარგებლო პიროვნებაა და ყველაფრის გაკეთება ეხერხება.

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც კაპიტანს სურდა. ზუსტად ორ საათზე ალფრედი აკიდებული ზურგჩანთით მასთან გამოცხადდა. კაპიტანმა მოისროლა სიგარის ნარჩენი და გზას გაუდგინა.

- კაპიტანო, მომეცით თქვენი ხელჩანთა, ზურგჩანთაში ჩავიდებ. ჩემთვის ეს არაფერია, თქვენ კი ხელბარგისგან გაგათავისუფლებთ, - უთხრა ალფრედმა. - არა უშავს, არ მიჭირს მისი ტარება, თითქმის ცარიელია.

სოფლიდან ჩამოვიდნენ, სვლა განაგრძეს. იქვე, სოფელთან ახლოს, გზა ერთ ბორცვზე გადაიოდა. ბორცვის მწვერვალზე ამოზრდილ ხეებთან შეჩერდნენ, შეისვენეს. თვალწინ ზღვის დიდებული პეიზაჟი გადაეშალათ. ჯორჯანი ტკბებოდა ამ პეიზაჟით. მერე ხეებისკენ გაიხედა, დაჰკრა ხელი მუხლს და წამოიძახა:

- ასეთი დიდებული სანახაობა არასოდეს მინახავს ცხოვრებაში!

ჯორჯანის აღტაცების მიზეზი ქითი იყო, რომელიც იქვე, ხეებს შორის იმყოფებოდა. კაპიტანი ხედვის არეს მოშორდა, სიგარას მოუკიდა, გააბოლა. როგორ და რისთვის აღმოჩნდა აქ? ალბათ ალფრედის გაცილება თუ გადაწყვიტა. მაგრამ საიდან შეიტყო, რომ სწორედ ამ დროს უნდა გაევლოთ ბორცვზე? ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაიხედა ხეებისკენ: ხელიხელგადახვეული ალფრედი და ქითი ხეებს შორის ნელა მისეირნობდნენ. ნაშუადღევი იყო, ოქროსფერი მზე დაჰნათობდათ თავს. „ოქროსფერი მზე, ოქროსფერი ზღვა, ოქროსფერი იალქნები, ოქროსფერი ფოთლები, ოქროსფერი სიყვარული, ოქროსფერი სიჭაბუკე“, - წაიღიღინა თავისთვის. ცოტა ხანს კიდევ აცადა შეყვარებულებს, მერე კი მივიდა მათთან და ერთად განაგრძეს გზა.

- ამოდ არ ჩაუვლია შენი დაქვრივებული რძლის სიტყვებს, - უთხრა ჯორჯანმა ალფრედს, - ასეთი ჭირვარამგამოვლილი ადამიანები ფუჭად არ ხარჯავენ სიტყვებს. რომ არა მისი მხარდაჭერა, ჩვენ ვერ დავადგებოდით სიმართლის ძიების გზას. სანამ იგი მხარს დაგვიჭერდა, თქვენს ოჯახში ყველას ბოროტი ადამიანი ვეგონე, რომელსაც რაღაც საეჭვო მიზნების განსახორციელებლად ოჯახური ჰარმონიის დარღვევა ჰქონდა განზრახული.

კაპიტანი ჯორჯანი, ალფრედი და ქითი მეგობრული მუსაიფით განაგრძობდნენ გზას.

კაპიტანმა ჯორჯანმა და ალფრედმა უმოკლეს ვადაში მოახერხეს არა მარტო თრეგართენის მიერ დასახელებულ მოხუცთა, არამედ სოფლის თითქმის ყველა უხუცესის გამოკითხვა, მაგრამ არავინ იცნობდა იმ საზღვაო ექსპედიციის

თუნდაც ერთ წევრს, რომელმაც ალფრედის ძმა – ჰიუ შეიწირა, არავინ არაფერი იცოდა. ჯორგანმა საუზმე შეუკვეთა და სანამ ისაუზმებდა, გასეირნება გადაწყვიტა. სასტუმროდან გამოსული (რომლისთვისაც პოეტური სახელი „მეფე ართურის მკლავები“ შეერქმიათ), დაღონებული და ჩაფიქრებული, თავჩაქინდრული მიაბიჯებდა. „ალფრედს რაღა დაემართა, რატომ არ დაბრუნდა ღამით სასტუმროში?“ კვითხებოდა თავის თავს, „ნუთუ სხვაგან გაათია ღამე?“ მოულოდნელად მისკენ მომავალ ალფრედს შეეჩეხა, რომელსაც მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი მამაკაცი ახლდა. ჯორგანი მიესალმა უცნობს, როგორც კოლეგას, მაგრამ მან ამ მისალმებას არ უპასუხა, უხმოდ იდგა მის წინაშე, დუმდა ალფრედიც. ჯორგანი განაცვიფრა მათმა საქციელმა.

– რას ნიშნავს ეს? – აღშფოთდა იგი, – ალფრედ, შენ მაინც რა დაგემართა! პირი შეკარით?

კვლავ დუმილი. მერე უცნობმა და ალფრედმა ერთდროულად მაგრად ჩამოართვეს ხელი ჯორგანს: უცნობმა მარჯვენა ხელი ჩამოართვა, ალფრედმა კი მარცხენა. ამის შემდეგ კი ალაპარაკდნენ. სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ აზრის გამოთქმას. თავდაპირველად ჯორგანმა ვერაფერი გაიგო; მერე კი შეძლო გაერკვია, რომ მის წინაშე მდგარი უცნობი სასწაულებრივად გადარჩენილი ალფრედის ძმა იყო, წერილში დადანაშაულებული პიროვნება კი თვით თრეგართენი. როგორც იქნა, დამშვიდდნენ და მათი საუბარიც უფრო გასაგები გახდა.

ჰიუმ მოუთხრო ჯორგანს თავისი თავგადასავალი: მათი გემი ზღვის დინებას გაეტაცა და უცნობი უკაცრიელი კუნძულის კლდოვანი ნაპირისთვის შეეჯახებინა; მთელი ეკიპაჟი და ექსპედიციის ყველა მონაწილე დაღუპულა, გარდა ხუთი კაცისა, რომლებსაც ნაპირზე გადასვლა მოუხერხებიათ; მათ კუნძულის სიღრმეში, ტროპიკულ ტყეში ხის ტოტებისა და ფოთლებისგან ქოხი გაუმართავთ და იქ დაუდვიათ ბინა; ტროპიკული ხეების ნაყოფითა და კაკანათით დაჭერილი ფრინველების ხორციით ირჩენდნენ თავს; ერთ ღამეს საშინელი ჭექა-ქუხილი ამტყდარა. ხეს, რომლის ტოტებქვეშ ქოხი იყო გამართული, მეხი დასცემია; ქოხი

ისე სწრაფად გახვეულა ცეცხლის ალში, რომ ჰიუსა და მის ამხანაგს – ქლისოლდს ძლივს მოუსწრიათ ლოგინიდან წამოდგომა და ტანსაცმლისა და ზურგჩანთების გარეთ გამოყრა; დანარჩენი სამი ამხანაგისთვის კი ვერ უშველიათ, ისინი აღმოდებულ ქოხში დამწვარან; მეხის დაცემის შემდეგ ქარიშხალი ამოვარდნილა, რომელსაც ღრუბლები გაუფანტავს და ხანძარი მთელ ტყეში გაუვრცელებია, რასაც ტყე სულ ერთიანად გადაუბუგავს; ჰიუსა და ქლისოლდს ძლივს დაუღწევიათ თავი აღმოდებული ტყისთვის და ზღვის ნაპირთან, გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ თავი; ხანძრის ჩაქრობის შემდეგ მოუნახავთ დაღუპული მეგობრების ძვლები და ერთად დაუმარხავთ; რამდენიმე თვე უცხოვრიათ გამოქვაბულში; თევზებითა და მოლუსკებით იკვებებოდნენ; როცა კუნძულიდან თავის დაღწევის იმედი გადაეწურათ, სასოწარკვეთილ ჰიუს წერილი დაუწერია და ბოთლში ჩაუდია, ბოთლი კი ზღვის ნაპირზე, წყალმცენარეთა შორის გაუხლართავთ იმ იმედით, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში, ვინმე უცნობი მეზღვაური იპოვიდა და მის მშობლიურ სოფელში წაიღებდა; წერილში გამოთქმული აზრის ჭეშმარიტების დადგენაში დიდი წვლილი შეუტანია ქლისოლდის მონაყოლს. რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ, უცნობი გემი შეუნიშნავთ, რომელსაც დინება კუნძულისკენ მოაქანებდა; გემის კაპიტანს კლდოვან ნაპირთან შეჯახებისთვის თავის არიდება და ნაპირთან ახლოს ღუზის ჩაშვება მოუხერხებია; ჰიუ და ქლისოლდი შეუნიშნავთ, კანჯო გაუგზავნიათ და გადარჩენილები გემზე გადაუყვანიათ; გემი მეგობრების აღმოჩენილა, რომელთაც ჰიუ და ქლისოლდი მონებად უქცევიათ; ქლისოლდს ერთი წლის შემდეგ მოუხერხებია ტყვეობიდან თავის დაღწევა და სამშობლოში გამგზავრებულა; ჰიუ კი ტყვეობაში თითქმის სამი წელი იტანჯებოდა; ბოლოს,

ცოტა ხნის წინ, მასაც მოუხერხებია გაქცევა და ინგლისში დაბრუნებულა; გადაუწყვეტია, პირდაპირ ლანრენში წამოსულიყო, დაესრულებინა იმ საქმის გამოძიება, რომელიც მამამისისთვის ვალის დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული (ეს გამოძიება მან ჯერ კიდევ ექსპედიციაში გამგზავრებამდე დაიწყო) და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელში; ლანრენში იგი შემთხვევით შეხვედრია ალფრედს.

ის ფაქტი, რომ ამერიიდან ჯორჯანთან ერთად, გამოძიებაში ჰიუც მიიღებდა მონაწილეობას, გამოძიების სწრაფად და წარმატებით დასრულების შესაძლებლობას სახავდა. გამოძიების მიზანი კი იყო, დაედგინათ, ჰიუს მამას ვალში მოპარული ფული დაუბრუნეს, თუ იმ დაწესებულებაში, სადაც ვალის გადამხდელი მუშაობდა, სხვამ მოიპარა ფული, ეს პიროვნება კი აიძულეს, სხვისი

მოპარული ფული დაეფარა; ამ შემთხვევაში უსახსროდ დარჩენილს ვალის გასასტუმრებლად სხვა თანხა უნდა მოქძიებინა, მოეპარა ან ესესხა; პირველ შემთხვევაში მევალე დამნაშავედ გვეკლინებოდა, მეორეში კი დაზარალებულად. ორივე ვარიანტი ერთნაირად მიუღებელი იყო ჰიუსთვის.

- საქმის გარკვევაში ეგებ ის ფაქტიც დაგვეხმაროს, რომ ქითი და მამამისი საცხოვრებლად სთიფუისში მას შემდეგ გადმოვიდნენ, რაც ჰიუ იმ ავბედით ექსპედიციაში გაემგზავრა, - თქვა ალფრედმა.

- თუ ასეა, შენი ძმა ქითის არ უნდა იცნობდეს.

- არა, არ ვიცნობ, მისი სახელიც კი არ გამიგონია, - თქვა ჰიუმ.

- ყველაფერი გასაგებია, - თქვა კაპიტანმა, - ლანრენში ჩვენს ყოფნას აზრი აღარ აქვს. სამწუხაროა, რომ თრეგართენს საიდუმლო გავუმხილეთ.

- ახლა ამას აღარაფერი ეშველება, - თქვა ალფრედმა, - სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ საქმეს.

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა კაპიტანი, - მაგრამ, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, სამოქმედო გეგმა უნდა დავსახოთ.

ცივი, გამჭოლი ქარი ქროდა. კაპიტანი და მძებნი რეიბრუკები ტორფიან ველში გაჭრილ გზაზე სეირნობდნენ და სამოქმედო გეგმას ადგენდნენ. კაპიტანს კარგა ხნის წინ შეკვეთილი საუზმე გადაავიწყდა.

სამოქმედო გეგმის თანახმად, სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყვნენ ბარნსტეპლში და იქაური მოსამართლის არქივში შეემოწმებინათ საბუთები, რომლებიც მამამისს ეხებოდა. ამის მერე უნდა დაბრუნებულიყვნენ სთიფუისში, მისულიყვნენ თრეგართენთან და მისთვის ეთქვათ ყველაფერი, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით იცოდნენ. შემდეგ კი იმის შესაბამისად უნდა ემოქმედათ, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა თრეგართენზე ეს ნაამბობი და როგორ გამოეხმაურებოდა მას. რეიბრუკების ოჯახში სულ ბოლოს აპირებდნენ მისვლას; მანამდე კი ყველა ზომა უნდა მიეღოთ, რომ სოფელში არავის შეეტყო ჰიუს დაბრუნება; კაპიტანს რამენაირად უნდა მოეხერხებინა, ფსიქოლოგიურად შეემზადებინა მისი ცოლი და დედა, რომ ჰიუ ცოცხალია და სადაცაა შინ დაბრუნდებოდა.

- არ უნდა დაგვავიწყდეს, - თქვა ჯორჯანმა, - რომ მოულოდნელი ბედნიერება არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე თავს დატეხილი უბედურება. ემოციური სტრესი, თუნდაც დადებითი იყოს, გამანადგურებელია ადამიანისთვის. სიამოვნებით ვკისრულობ ამ როლის შესრულებას, მით უმეტეს, რომ ძალიან მინდა, ქალების შეგნებაში ჩემი სახელის რეაბილიტაცია მოხდეს; მათ ხომ ამჟამად ბოროტი ადამიანი ვგონივარ.

ძმები აღაფრთოვანა ჯორჯანის წინდახედულებამ და თანხმობამ, მოემზადებინა ქალები ჰიუს დაბრუნებისთვის.

გეგმის წარმატებით განსახორციელებლად სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება იყო საჭირო. ერთ-ერთ მათგანს საერთო ხელმძღვანელობა უნდა ეკისრა. ჯორჯანი გამოცდილი ადამიანის თვალთ უმზერდა ხან ერთსა და ხან მეორე ძმას. მერე ჰიუს მიმართა:

- ცოტა ზოზინა და გაუბედავი ხომ არა ხარ საქმეში?
- უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეა, - მიუგო ჰიუმ.
- ამ საქმეში ზოზინა ადამიანის ხელმძღვანელობა არ ივარგებს. - თქვა კაპიტანმა.

ძმები დაეთანხმნენ.

- შენ კი, ცოტა არ იყოს, შეყვარებული ხარ, ხომ?
- ცოტა არ იყოს კი არა და...
- არც შეყვარებული ადამიანის ხელმძღვანელობა ვარგა.

ამაშიც დაეთანხმნენ.

- მე არც შეყვარებული ვარ და არც ზანტი, - განაგრძო ჯორჯანმა, - გარდა ამისა, მთელი ცხოვრების განმავლობაში მრავალი საზღვაო ექსპედიციის ხელმძღვანელი ვყოფილვარ და არაერთი სწრაფი და გაბედული გადაწყვეტილება მიმიღია. ამიტომ მთელი საქმის ხელმძღვანელობა მე მომანდეთ.

ძმებმა სიამოვნებით გამოთქვეს თანხმობა და ჯორჯანს მადლობა გადაუხადეს. კაპიტანმა ჯიბიდან საათი ამოიღო:

- ახლა დილის ცხრის ნახევარია, პარასკევი. ვიწყებ დროის ათვლას. ვნახოთ, რა დრო დაგვჭირდება საქმის მოსაგვარებლად და დედათქვენის „საფოსტო ოფისში“ დასაბრუნებლად.

მეორე დღეს, დილაადრიან, ბარნსტეპლის მოსამართლის ოფისი ჯერ არც კი იყო გახსნილი, რომ კაპიტანი ოფისის პარმალზე იჯდა და მოსამართლის მოლოდინში მხიარულად უსტვენდა. ის ჯორჯანის ძველი მეგობარი აღმოჩნდა, რომელთანაც ოდესღაც საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა.

მოსამართლე კარგად იცნობდა ორივე ძმას, ამიტომ არ გასჭირვებია მათი მამის საბუთების მოძებნა და ჯორჯანისთვის წარდგენა. საბუთები, ძირითადად, ძველი წერილებისა და სალაროს ანგარიშებისგან შედგებოდა. ჯორჯანმა საბუთების ანალიზის ისეთი უნარი გამოავლინა, რომ შუადღისთვის უკვე მზად ჰქონდა გამოძიებისთვის უაღრესად სასარგებლო დასკვნა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ: ვინმე ლოურენს ქლისოლდს ძმების განსვენებული მამისგან ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი უსესხია, როცა ეს უკანასკნელი საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდა ბიზნესმენი იყო ბარნსტეპლში. წერილობით ხელშეკრულებაში აღნიშნული ყოფილა, რომ ეს ვალი ქლისოლდს უნდა გამოეყენებინა საკუთარი, დამოუკიდებელი ბიზნესის დასაწყებად (იმ დროს ქლისოლდი კლერკად მუშაობდა „ძმები დრინგუორთების სახლში“, რომელიც ლონდონში, ამერიკის მოედანზე მდებარეობდა). იმ დროისთვის, როცა ვალის დაბრუნების ვადა ამოუწურავს, ქლისოლდს ვერ მოუხერხებია საკუთარი

ბიზნესის აწყობა და, უსახსროდ დარჩენილს, სესხი ვერ გაუსტუმრებია. ვადის გასვლისთანავე მას კრედიტორისთვის წერილი მიუწერია, რომელშიც არცთუ დამაჯერებელი არგუმენტებით ითხოვდა ვადის გაგრძელებას, რაზეც უარი მიუღია. შემდეგ ქლისოლდს გადაუხდია ვალი და, დამადასტურებელ ქვითართან ერთად, წერილიც გაუგზავნია, რომელშიც უკმეხად და უკმაყოფილო ტონით იტყობინებოდა, რომ ფული ნათესავმა ასესხა, რათა იგი გაკოტრებისგან ეხსნა. ამაზე რეიბრუკს უპასუხია, რომ აღარასოდეს გაებედა მისგან ფულის სესხება, რადგან არ სურდა, მისნაირ არასანდო ადამიანთან ჰქონოდა საქმე.

კაპიტანს არაფერი უთქვამს მოსამართლისთვის იმ დასკვნის შესახებ, რაც მან განსვენებული რეიბრუკის საბუთების გარჩევის საფუძველზე გააკეთა. მაგრამ, როცა ძმებთან ერთად სასამართლოს ოფისი დატოვა, რაღაც აუხსნელი მიზეზის (ალბათ კმაყოფილების გრძნობის ან აზარტის) გამო მუხლი აუკანკალდა და გაიფიქრა: „ოჰ, რა საოცრად ესადაგება ეს დასკვნა ჰიუს წერილში ჩამოყალიბებულ ბრალდებასა და რწმენას მამამისის პატიოსნებაზე“.

ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო; სიმართლის ძიების ხომალდს ზურგის ქარი უბერავდა; დაყოვნება არ შეიძლებოდა. სასწრაფოდ ჩასხდნენ დილიქანსში და სთიფუისში გაემგზავრნენ. ნაშუადღევს უკვე სოფელში იყვნენ. პირდაპირ თრეგართენის სახლს მიადგნენ. ქითი არსად ჩანდა. თრეგართენი თავისი ოთახის ერკერში (ერკერი – ოთახის ფასადიდან ქუჩისკენ გაწეული შემინული ნაწილი, ჩვეულებრივ, ნახევარწრიული ან წახნაგოვანი ფორმის) იჯდა და რაღაცას წერდა.

– ოჰ, სერ! – შესძახა კაპიტანმა შესვლისთანავე და ისე მაგრად ჩამოართვა ხელი, რომ მაგიდაზე დადებული კალამი და ქაღალდი იატაკზე გადავარდა, – როგორ ბრძანდებით? მოხარული ვარ, რომ კვლავ მომეცა თქვენი ნახვის შესაძლებლობა. ხომ გახსოვთ, რომ გითხარით, ჩემზე შეხედულება შეგეცვლებათ–მეთქი. ვხედავ, მართლაც შეგცვლიათ, რასაც გულწრფელად გილოცავთ, – ირონიული ტონით დაუმატა მან. კაპიტანმა იქვე ახლოს, ცეცხლთან მყოფ ტომ პეტიფერზე გადაიტანა მზერა, რომელსაც გადაეწყვიტა, ქითის მამასაც მომსახურებოდა და საჭმელს ამზადებდა.

– ეს პიროვნება ჩემი საქმეთა მმართველია და სხვა საქმის კეთება მისი მოვალეობა არაა, – თქვა კაპიტანმა და პეტიფერს მიმართა, – ტომ, რადგან ეგ საქმე იკისრე, დარჩი აქ და ეცადე, კარგად დაასრულო, – უთხრა მას, მერე კი ისევ თრეგართენს მიუბრუნდა, – ახლა კი ნება მიბოძეთ, თქვენ გვერდით დავჯდე, ფრიად მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი.

ჯორჯანმა მოშორებით მდგარი სავარძელი თრეგართენთან მიაცურა და განაგრძო:

– ამ ჭაბუკს, აოფრედ რეიბრუკს, თქვენს ქალიშვილზე უზომოდ შეყვარებულს, რა თქმა უნდა, კარგად იცნობთ. ეს კი მისი ძმა, ჰიუ რეიბრუკია, რომელსაც თქვენ პირადად არ იცნობთ, მაგრამ მშვენივრად იცით, რომ იგი დიდი ხნის წინ შორეულ საზღვაო ექსპედიციაში გაემგზავრა და დღემდე ყველას კატასტროფაში დაღუპული ჰგონია. ახლა კი, როგორც ხედავთ, იგი მკვდრეთით აღდგა და შინ დაბრუნდა. მაგრამ ჩემი მთავარი სათქმელი მაინც ისაა, რომ მასთან ერთად ამ საზღვაო ექსპედიციაში იმყოფებოდა ვინმე ლოურენს ქლისოლდი.

ამ სახელის ხსენებაზე თრეგართენი შეკრთა და გაფითრდა.

- რამ შეგაშფოთათ? - ჰკითხა კაპიტანმა სარკასტული ტონით.
- ეს კაცი ამ ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი წლის წინ ჩემთან ერთად კლერკად მუშაობდა...
- ლონდონში, ამერიკის მოედანზე მდებარე „ძმები დრინგუორთების სახლში“, არა? - შეაწყვეტინა კაპიტანმა.
- დიახ, ეს სავაჭრო სახლი იყო, - მიუგო გაფითრებულმა თრეგართენმა.

ჯორჯანმა განაგრძო:

- საზღვაო ექსპედიციაში გამგზავრებამდე ჰიუს მამასა და ქლისოლდს შორის რაღაც გაუგებრობა წარმოიშვა ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის გამო.

თრეგართენი კვლავ გაფითრდა. კაპიტანმა კი ისეთივე სარკაზმით, როგორც ადრე, იკითხა:

- რამ შეგაშფოთათ, თრეგართენ?
- განაგრძეთ, გეთაყვა! - პასუხის ნაცვლად სთხოვა თრეგართენმა.

კაპიტანმა მოკლედ მოუყვა თრეგართენს ყველაფერი, რაც კი იცოდა ქლისოლდის შესახებ, მათ შორის, მის მოგზაურობაზე უკაცრიელ კუნძულზე ჰიუსთან ერთად. თრეგართენი საშინლად ააღელვა ამ მონაცემმა.

- ქლისოლდმა დაანგრია ჩემი ცხოვრება! - წამოიყვირა მან, - კარგად იცნობდი მაგ ნაძირალას, დიდხანს ეჭვის თვალით ვუყურებდი.
- საიდან იცნობდით მას? - იკითხა კაპიტანმა და სავარძელი უფრო ახლოს მიაჩოჩა თრეგართენთან.

- ხომ გითხარით, ერთად ვმუშაობდით-მეთქი, კლერკები ვიყავით ნახსენებ ფირმაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა, ყოველდღიურად მიმელო და სპეციალურ ჟურნალში ჩამენიშნა ფირმაში შემოსული, ბანკირებისთვის გადასაცემი ფული. ერთ ავბედით ოთხშაბათს, ფირმაში შემოსულ სხვა თანხებთან ერთად, მივიღე ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი.

- ერთი წუთით მოითმინეთ, მაცალეთ, ჩავინიშნო! - თქვა კაპიტანმა, - განაგრძეთ, გეთაყვა!

- ქლისოლდს ევალეობდა, მიეღო ჩემგან ყოველდღიურად შემოსული ფული და შეედგინა მემორანდუმი შემოსული თანხის საერთო რაოდენობის შესახებ; შემდეგ ეს მემორანდუმი, თანხასთან ერთად, უნდა გადაეცა სხვა კლერკისთვის, რომელსაც, თავის მხრივ, თანხა ბანკირისთვის უნდა ჩაებარებინა. როგორც მოგახსენეთ, იმ ოთხშაბათს მივიღე ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი და ეს თანხა, იმავე დღეს შემოსულ სხვა ფულთან ერთად, ქლისოლდს გადავეცი. არასოდეს შემპარვია ეჭვი იმაში, რომ თანხა დანიშნულების ადგილს არ მიაღწევდა. მაგრამ ერთ დღეს ფირმამ ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის დანაკლისი აღმოაჩინა. დაკითხეს ქლისოლდი, რომელმაც ჩემი ჟურნალის შემოწმება მოითხოვა. როცა ჩემი ჟურნალი შეამოწმეს, ჩანაწერი ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის მიღების შესახებ იქ არ აღმოჩნდა.

- როგორ თუ არ აღმოჩნდა! - შეიცხადა კაპიტანმა, - მერე თქვენ როგორ მოიქეცით?
- დამკითხეს, - განაგრძო თრეგართენმა, - მკითხეს, ჩაინიშნე თუ არა

შემოსული ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგით. რა თქმა უნდა, კატეგორიულად დავადასტურებ ამ თანხის ჩანიშვნა. გადაშალეს ჟურნალი და მაჩვენებს ის ფურცელი, რომელზეც იმ დღეს შემოსული თანხების ჩანაწერები იყო შესრულებული და, როგორც უკვე მოგახსენეთ, შემოსული ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის შესახებ ჩანაწერი იქ არ აღმოჩნდა. მაშინვე მივხვდი, რომ ფურცელი ყალბი იყო, მაგრამ იმ ფურცელზე შესრულებული ჩანაწერების ხელწერა იმდენად ჰგავდა ჩემსას, რომ ვერ შევძელი ჩემი სიმართლის დამტკიცება. მომთხოვეს, დამეფარა დანაკლისი და მეც დავფარე, მაგრამ ჩემი იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ფირმის მესვეურები რომც ყოფილიყვნენ თანახმა, სამსახურში დავეტოვებინე, შელახული რეპუტაციის გამო, თვითონ აღარ ვისურვებდი იქ დარჩენას. მივატოვე იქაურობა და ჩემს მშობლიურ სოფელ ლანრენში დავბრუნდი. ერთხანს უმუშევარი ვიყავი. მერე კი ვიშოვე ის სამსახური, სადაც ახლაც ვმუშაობ.

- მახსენდება, ამას წინათ რომ გითხარით, - თქვა კაპიტანმა, - თუ საკუთარ თავზე არ გიწვნივით უსამართლობა, ბედნიერი კაცი ყოფილხართ-მეთქი. ახლაც ვხედავ, რომ თქვენც ყოფილხართ უსამართლობის მსხვერპლი.

- მომხდარის გამო დიდი სულიერი ტრავმა მივიღე და მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის რწმენა მანიჭებს სიმშვიდეს ამჟვეყნად. როგორც უკვე გითხარით, ქლისოლდს ყოველთვის ეჭვის თვალთ ვუყურებდი, მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, არასოდეს მოუცია საბაზი, მასთან ურთიერთობა გამეფუყებინა; ამ ამბავმა კი, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩამავლო. ქალიშვილისა და ჩემი ღირსების შენარჩუნებისთვის ამაზე საუბარს ვერიდები, რადგან ასეთ შემთხვევაში ძნელია, დააჯერო კაცი საკუთარ უდანაშაულობაში. ამ საიდუმლოს ალბათ სამარეში ჩავიტანდი, ახლა რომ არ გამემჟღავნებინა თქვენთვის.

- რწმენა საკუთარი უდანაშაულობისა კარგია, მაგრამ ეს რწმენა სიცოცხლისთვის უნდა გამოიყენო და არა სამარეში წასაღებად. ახლა აქ, თქვენ წინაშე დგას ორი უპატიოსნესი ადამიანი: თქვენს ქალიშვილზე უზომოდ შეყვარებული ალფრედი და მისი ძმა, კეთილი ზღვაოსანი - ჰიუ. მათი შეხედულება ადამიანურ ღირსებაზე, პატიოსნებაზე ისეთივეა, როგორც ჩემი. დიდი სიამოვნებით ამოვიყენებდი მათ გვერდით და მთელ მსოფლიოს შემოვივლიდი ქვეყნად სიკეთისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად. დარწმუნებული ვარ, მათ არ სურთ ეს ფული და, სამართლიანობისთვის, მამის ხსოვნის პატივსაცემად, მზად არიან, ხვალვე დაგიბრუნონ და ამით ბოლო მოუღონ თქვენ მიმართ ჩადენილ უსამართლობას.

თრეგართენმა, თანაგრძნობისა და თანადგომისთვის მაღლიერების ნიშნად, სამივეს ხელი მაგრად ჩამოართვა, მაგრამ ფულის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მან თქვა, რომ სჯეროდა, ძმები სწორედ ისე მოიქცეოდნენ, როგორც კაპიტანმა აღნიშნა; მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, არც ეს იქნებოდა სამართლიანი, რადგან რეიბრუკებს ფული უპატიოსნო გზით არ მოუპოვებიათ და ამიტომ ის ძმებს უნდა დარჩენოდათ. იმდენად გულითადი და გულწრფელი იყო მათი საუბარი, რომ პეტიფერმა საჭმლის მომზადებას თავი დაანება და ყურადღებით უსმენდა მათ.

- თქვენი და ქლისოლდის მიერ სავაჭრო სახლის მესვეურთათვის მიცემულ განმარტებათა საფუძველზე, - თქვა კაპიტანმა, - შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქლისოლდმა ჟურნალიდან ამოხია ის ფურცელი და მის ნაცვლად ყალბი ფურცელი ჩააწება, რომელზეც ის ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი არ იყო აღნიშნული. რაც შეეხება ყალბ ფურცელზე მოთავსებული ჩანაწერების მსგავსებას თქვენს ხელწერასთან, საამისოდ მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის, ყალბი ასლის გადაღება ქონისა და ნაცრის გამოყენებით. თუ ქლისოლდმა მოასწრო ამოხეული ფურცლის განადგურება, ფულის დაბრუნების ყოველგვარი მცდელობა ამაოა. ერთადერთი ვერსია, რომელიც შესაძლებლობას

მოგვეცმს, ფული დავიბრუნოთ, შემდეგია: ქლისოლდი აპირებდა ფურცლის დაწვას, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან ეშინოდა, თქვენ არ შესულიყავით ოთახში და არ მიგესწროთ. ამიტომ სასწრაფოდ შეაცურა მაგიდის ნაწილებს შორის არსებულ ნაპრალში (თუ მაგიდა ძველი იყო და ასეთი ნაპრალი გააჩნდა) ისე ღრმად, რომ მერე თვითონვე ვეღარ შეძლო ამოღება და განადგურება. სადაა ახლა ის მაგიდა? შესაძლებელია თუ არა ამავე ადგილას იყოს, ლონდონში, ამერიკის მოედანზე?

თრეგართენმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

– სავაჭრო სახლი იქ აღარაა. რამდენიმე წლის წინ გაზეთში წავიკითხე, რომ სახლმა სხვაგან გადაინაცვლა, გაფართოვდა და სახე იცვალა. ჩვენს დროში ხომ მოვლენებს თვალს ვერ მიაღწევნებ!

– მიუხედავად ამისა, – უთხრა იმედგაცრუებულმა ჯორჯანმა თრეგართენს, – უნდა წახვიდე იქ, წასვლამდე კი მე უნდა მინახულო!

ჯორჯანი, რომელიც თვითონაც არ იყო დარწმუნებული ლონდონში წასვლის მიზანშეწონილობაში, ბოლთის ცემას მოჰყვა, თან თავისთვის იმეორებდა: „საწერი მაგიდა, ფურცელი; მაგიდა, ფურცელი...“ და, რატომღაც, იქვე, სამზარეულოს ნივთებს შორის დადებულ პეტიფერის ქუდს მიაჩერდა. მერე აიღო, გაჩერდა, გადმოაბრუნა და შიგ ჩახედა. ერთხანს ასე იდგა, გარინდებული; გეგონებოდათ, ეკლესიაში ქუდმოხდილი დგას და ჩუმად ლოცულობსო. მერე კვლავ გაიმეორა იგივე ფრაზა და ბოლთის ცემა განაგრძო.

ტომ პეტიფერი, სადილს რომ ამზადებდა, ყურადღებით უსმენდა მათ საუბარს. როცა კაპიტნის ეს უკანასკნელი ფრაზა მოისმინა, შეიმშუმშა, მივიდა მასთან და უთხრა:

– კაპიტანო, მაპატიეთ თქვენს საუბარში ჩარევა, მაგრამ მინდა ზოგიერთი რამ მოგახსენოთ იმ სავაჭრო სახლის შესახებ.

კაპიტანი შეჩერდა. პეტიფერს შეხედა.

– იცით თუ არა, რომ ერთ დროს მე მაკლერობას ვეწეოდი?

– როგორ არა, ვიცი. ისიც ვიცი, რომ ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწიეთ და საერთოდ აიყარეთ გული ბიზნესზე, – მიუგო ჯორჯანმა.

– ეს მთლად ასე არაა. მაკლერობას თავი კი დავანებე, მაგრამ მერე ჩემს ძმასთან ერთად ერთობლივ ბიზნესს ვეწეოდი. როცა ძმები „დრინგუორთების სავაჭრო სახლი“ ამერიკის მოედნიდან სხვა ადგილას გადადიოდა, ამ ფორმის ძველი ავეჯი ჩვენ შევისყიდეთ. თუკი ჩემს ძმას, და საერთოდ ჩემს ნათესავებს ჩემთვის რამე გაუმეტებიათ, ეს მაგიდა იყო. როცა ერთობლივი ბიზნესი მოვშალეთ, მაგიდა მე მერგო (ამ მაგიდის მოცემაც კი ძლივს გადაწყვიტა, თითქოს ძალიან ძვირფასი ნივთი ყოფილიყოს).

– სადაა ახლა ის მაგიდა? – იკითხა კაპიტანმა.

– ამჟამად სადაა, ვერ გეტყვით, – მიუგო პეტიფერმა, – ის მაგიდა ერთ პატარა სკვირთან ერთად აუქციონზე გაიყიდა, როცა ვალის გასტუმრება ვერ შევძელი. უკანასკნელად (როდის იყო ეს, ზუსტად არ მახსოვს) იგი უეფინგში, ერთი მომხიბვლელი ქალბატონის სახლში ვნახე, როცა მასთან წვეულებაზე გახლდით.

ძმებმა რეიბრუკებმა და თრეგართენმა ყურები ცქვიტეს, კაპიტანზე კი ამ სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია; იგი კვლავ დაჭინებით დასცქეროდა პეტიფერის ქუდს და თანდათან აღელვება იპყრობდა.

- ტომ, - უთხრა პეტიფერს, - როცა სოფელში პირველად შემოვდგით ფეხი, ხომ გახსოვს, რომ გითხარი, ქუდი საკმაოდ თხელია და მზის სხივებისგან ვერ დაგიცავს-მეთქი.

- მახსოვს, სერ.

- როცა ჩემთან სამსახურს იწყებდი, შემომფიცე, რომ არაფერს დამიმალავდი. მითხარი, რესტავრაციისთვის ან სხვა რაიმე მიზნით, ხომ არ დაგიშლია ის მაგიდა?

- დიახ, სერ; მაგიდა ძველი იყო, ამიტომ დავშალე და აღვადგინე.

- მეგობრებო! - შესძახა კაპიტანმა, - მამაზეციერმა იზრუნა ბატონი პეტიფერის ჯანმრთელობაზე და ქუდი მეტისმეტად თხელი რომ არ ყოფილიყო, შთააგონა, სარჩულში თრეგართენის ჩანაწერის ორიგინალი ჩაეკერებინა. ამ სიტყვებთან ერთად ჯორგანმა ქუდს სარჩული ამოახია და იქიდან თრეგართენის ჩანაწერი ამოიღო. მერე ჩვეულებას არ უღალატა, მოიხარა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორივე ხელი დაჰკრა მუხლებს.

- ახლა საღამოს ხუთი საათი და თხუთმეტი წუთია, - თქვა კაპიტანმა, როცა ჯიბიდან ამოღებულ საათს დახედა. - ზუსტად ოცდაცამეტი საათი და თხუთმეტი წუთი დაგვჭირდა ამ საქმის გამოსაძიებლად.

არა მგონია, საჭირო იყოს, დაწვრილებით მოგიყვეთ ყოველივე ის, რაც ამის შემდეგ მოხდა მოპარულ ხუთი ათას გირვანქა სტერლინგთან დაკავშირებით. მხოლოდ მოკლედ მოგახსენებთ.

მას შემდეგ, რაც მოსამართლეს თრეგართენის ჭეშმარიტი ჩანაწერი წარუდგინეს, დამნაშავეს აზღვევინეს მოპარული ფული და სამაგალითოდ დასაჯეს. თრეგართენმა ეს ფული თავის ქალიშვილს - ქითის აჩუქა. შემდეგ მონახა „ძმები დრინგუორთების სავაჭრო სახლის“ ახალი ადგილსამყოფელი, გაემგზავრა იქ და შელახული ავტორიტეტი აღიდგინა. ქითისა და ალფრედის ქორწილის დღე კი ხელახლა დანიშნეს.

ჰიუს გამოჩენას არ ჩქარობდნენ. იგი, ჯერჯერობით, ინკოგნიტოდ რჩებოდა. გადაწყვიტეს, ჯერ ჯორგანისადმი ნდობა ჩაენერგათ ქალებისთვის, მერე კი ჯორგანს განეხორციელებინა თავისი გეგმა. ალფრედი და ქითი ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ქალბატონი რეიბრუკი, რომ კაპიტანი ყოვლისშემძლე და, ამავე დროს, უაღრესად კეთილი ადამიანი იყო და ყოველივე, რასაც მათ მიაღწიეს, ჯორგანის ძალისხმევით შედეგად მოხდა, ამიტომ მათი ოჯახის კარი ყოველთვის ღია უნდა ყოფილიყო მისთვის.

ჯორგანმა, უაღრესად კმაყოფილმა თავისი მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებით, ფრთხილად შეაღო რეიბრუკების ოჯახის სასტუმრო ოთახის კარი, სადაც ქალბატონი რეიბრუკი და მისი რძალი იმყოფებოდნენ. მარგარეტი კაბის კერვით იყო გართული.

- შეიძლება, შემოვიდე? - მოკრძალებით იკითხა კაპიტანმა, რომელიც არ იყო დარწმუნებული, რომ მასპინძლებს რისხვამ გადაუარათ და მას კეთილგანწყობით შეხვდებოდნენ.

- მობრძანდით, ბატონო კაპიტანო! - მიუგო ქალბატონმა რეიბრუკმა, - თქვენ შემოსვლაზე ნებართვის თხოვნა არ უნდა გჭირდებოდეთ. მაპატიეთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სასტუმროში მოგიხდათ ცხოვრება.

- არაფერი გაქვთ საბოდიშო, ქალბატონო, - თქვა ჯორგანმა, - ყოველივე, რაც

მოხდა, ლოგიკურია.

კაპიტანმა მათ შუა სავარძელი მიაცურა.

- ცხოვრებაში იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ბოროტებას. უფლება არ მქონდა, განზე ვმდგარიყავი და არ მებრძოლა მის წინააღმდეგ, - თქვა მან.

მერე ბავშვი აიყვანა დედის კალთიდან და მუხლებზე დაისვა.

- ხომ ხედავთ, არ მიფრთხის. იცის, რომ მიყვარს პატარები. მეც მყავს ბავშვი, გოგონა. მას ხშირად ვუმღერი ხოლმე სიმღერებს.

- რა სიმღერებს უმღერთ? - იკითხა მარგარეტმა.

- მოკლე და მხიარულ სიმღერებს. მაგალითად, ასეთს:

შეხედეთ სილას ჯორგანს,
რა კარგად უკრავს ორგანს!

ჯორგანი ცდილობდა, ისეთი რამ ეთქვა, რაც ქალბატონი რეიბრუკისა და მისი რძლის შეგნებაში მოამწიფებდა აზრს, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს; ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს; ყოველგვარ მოულოდნელობას მშვიდად უნდა შეხვდეს.

- ჩემს პატარას ხშირად ზღაპრებსაც ვუამბობ ხოლმე; ზღაპრებს მეზღაპურებზე, დაკარგული რომ ჰგონიათ და მოულოდნელად ბრუნდებიან შინ.

ქალები ყურადღებით უსმენდნენ. ჯორგანმა კვლავ წაიმღერა:

შეხედეთ სილას ჯორგანს,

რა კარგად უკრავს ორგანს!

და სიმღერასთან ერთად ბავშვი მუხლზე ააცეკვა. მარგარეტმა ხელსაქმე შეწყვიტა და გულაჩუყებული შესცქეროდა ჯორგანის მუხლზე აცეკვებულ ბავშვს.

- ზოგჯერ ბავშვს ჩემ მიერვე შეთხზულ ზღაპრებს ვუამბობ ხოლმე, - განაგრძო კაპიტანმა. - ჩემს გოგონას ძალიან მოეწონა ერთი ზღაპარი, რომელშიც მოთხრობილია, გემის კატასტროფის შემდეგ როგორ აღმოჩნდა მისი ეკიპაჟი უკაცრიელ კუნძულზე, სადაც ისინი ძალიან დიდხანს იმყოფებოდნენ და როცა სამშობლოში დაბრუნდნენ, როგორ უსმენდნენ ეკლესიაში საორგანო მუსიკას.

ჯორგანმა კვლავ წაიმღერა:

შეხედეთ სილას ჯორგანს,

რა კარგად უკრავს ორგანს!

ჯორგანი სიმღერას იმდენად ბავშვის გასართობად არ იმეორებდა, რამდენადაც იმისთვის, რომ გაეჩარვებინა ქალების სევდა, რომელიც მის მიერ მოყოლილ ზღაპრებს შეემლო გამოეწვია.

ღამდებოდა. ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდნენ ცის კაბადონზე. ოთახს მხოლოდ ბუხარში დანთებული ცეცხლი ანათებდა. ჩაფიქრებული ჯორგანი ცეცხლს მისჩერებოდა, მაგრამ გრძნობდა, როგორი დაჟინებით უმზერდა მარგარეტი. კაპიტანი კმაყოფილი იყო, რომ ქალების ფსიქოლოგიური მომზადება ჰიუს მოულოდნელ გამოჩენასთან დაკავშირებით წარმატებით მიმდინარეობდა და შემდგომი ნაბიჯის გადადგმა განიზრახა.

- დიახ, მე ვთხზავ ზღაპრებს, რომელთა ბოლო კეთილია, - თქვა ჯორჯანმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ. - შეთხზული მაქვს ზღაპრები, რომლებშიც მოთხრობილია, ღვთის ნებით, როგორ დაუბრუნდა დაკარგული ძმა ძმას, დაკარგული შვილი - დედას, დაკარგული ქმარი - ცოლს, მამა - შვილებს, ისეთივე პატარებს, როგორც თქვენი გოგონაა.

ამას კი ვედარ გაუძღეს ქალებმა. მის წინაშე მუხლებზე დაეცნენ და აცრემლებულები ისე შესცქეროდნენ, როგორც სასწაულმოქმედს, რომელსაც ჰიუს დაბრუნება შეეძლო. მარგარეტმა ათრთოლებული ხელი ჯერ ჯორჯანის ხელს, მერე კი მკერდს შეახო. დაჩოქილმა და ღონემიხდილმა მისმა დედამთილმა კი წონასწორობის შენარჩუნება ვერ შეძლო და იატაკზე განერთხმეოდა, მარგარეტს რომ არ შეეშველებინა ხელი.

- რა მოგივიდათ, რამ დაგამწუხრათ? საამისო არაფერი გჭირთ, - ჯორჯანმა ქალების გამხნევება სცადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მერე სიმღერა წამოიწყო, მაგრამ აღარ დაასრულა, რადგან არც ამან უშველა საქმეს: ქალები უკიდურესად სასოწარკვეთილნი იყვნენ. ჯორჯანი მიხვდა, რომ ვერ მოზომა. სხვა

გზა არ იყო, პირდაპირ უნდა ეთქვა სათქმელი.

- მარგარეტ, ცხოვრებაში დიდი უბედურების გადატანა გარგუნა ბედმა. შეძლებ, მშვიდად შეხვდე მოულოდნელ ბედნიერებას?

- შევძლებ, სერ! დარწმუნებული ვარ, შევძლებ. მე ხომ ცხოვრებამ ნებისყოფა გამიკაჟა.

- მაშინ გეტყვი, რომ იგი შეიძლება მალე დაბრუნდეს. მინდა, გითხრა, რომ...

- როგორ, განა ცოცხალია? - შეჰყვირა მარგარეტმა.

- ცოცხალია!

ძნელია, წარმოიდგინოს კაცმა ის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, რაც ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ დაეუფლათ ქალბატონ რეიბრუკსა და მის რძალს: ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდიოდათ, ლულლუდებდნენ, სახის გამომეტყველება კი შეშლილისას მიუგავდათ. მათი ლულლულიდან მხოლოდ იმის გაგება შეიძლებოდა, რომ ღმერთს მადლობას სწირავდნენ. ჯორჯანმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

- ის უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩემი სამშობლო - ამერიკა, - თქვა მან, - მეტსაც გეტყვით: ის თავის სამშობლოშია, უფრო ზუსტად კი თქვენს სოფელში, და კიდევ უფრო ახლოს, აქვეა, ამ კარს მიღმა. საკმარისია გავძახო, რომ კარი გააღოს და ოთახში შემოვიდეს.

მოსახდენი მოხდა. ოთახში შემოსული ჰიუს დედასა და ცოლ-შვილს გადაეხვია. მცირე უსიამოვნებას მაინც ვერ ასცდნენ: ქალბატონ რეიბრუკსა და მარგარეტს სიხარულისგან გულყრა დაემართათ. ჯორჯანი მაინც კმაყოფილი იყო, რადგან, რომ არა მისი საზრიანობა, ქალები ჰიუს მოულოდნელ გამოჩენას ვერ აიტანდნენ და ან ჭკუიდან შეიშლებოდნენ, ან კიდევ გულის შეტევა დაემართებოდათ.

პეტიფერის ჯერიც დადგა. იგი ცივი წყლით სავსე ჭიქით ხელში ოთახში შემოიჭრა და ქალებს იმდენი წყალი ასხურა, რომ მათი კაბები იმ ნავის მგზავრთა ტანსაცმელს დაემსგავსა, რომელსაც ხალხი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავს. ესეც არ აკმარა და ისეთი სილები უთავაზა, რომ

მყისვე გამოაფხიზლა. თავისი მსახურის გულმოდგინებით აღტაცებული ჯორჯანი სავარძელში იჯდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუხლებზე ხელეხს იტყაპუნებდა.

ჯორჯანს ქორწილზე დასწრება არ შეეძლო; მეორე დღეს, დილითვე უნდა გამგზავრებულიყო ამერიკაში, სადაც სასწრაფო საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. გამგზავრებისას, კაპიტანს არა მარტო მთელი რეიბრუკების ოჯახი, მათი რძალი და სარძლო, არამედ მთელი სოფელი მიაცილებდა სანაპიროზე; სოფლელებმა უკვე იცოდნენ, რაც მოხდა რეიბრუკების სახლში წინა დამეს. ჯორჯანი ყველას ხელს ართმევდა და თავისთან, მასაჩუსეტსის შტატში ეპატიყებოდა. კარჭაპში ჩაჯდომის წინ სათნო გოგონამ – ქითიმ მას ხელები კისერზე ნაზად მოხვია და ბრინჯაოსფერ ლოყაზე ორჯერ აკოცა, მერე კი სახე მის ვაჟკაცურ მკერდში ჩარგო.

ნაპირზე მდგარი რეიბრუკები და სოფელ სთიფუეისის მკვიდრნი დიდხანს ემშვიდობებოდნენ კანჯოს კიროზე მდგარ კაპიტან ჯორჯანსა და ტომ პეტიფერს. კაპიტანიც ქულის ქნევით ეთხოვებოდა მათ.

გავიდა ხანი. გვიანი შემოდგომა იდგა, ფოთოლცვენა დიდი ხნის დაწყებული იყო. მესამეჯერ სცვიოდა ფოთლები ხეებს იმ ამბის შემდეგ, ზემოთ რომ აღვწერე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სანაპიროზე ბავშვს ასეირნებდა. დედამ დასვა ხელში აყვანილი ბავშვი და თვითონ მოშორებით დადგა. ბავშვი დაბარბაცდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა; მერე დედისკენ გადადგა ნაბიჯი; კვლავ წაბარბაცდა და კვლავ შეინარჩუნა წონასწორობა; მერე მეორე ნაბიჯი გადადგა; მესამე, მეოთხე... რაც მეტად მიიწევდა წინ, მით უფრო ადვილად ინარჩუნებდა წონასწორობას; მაგრამ როცა დედას მიუახლოვდა, ნაბიჯს მოუჩქარა, დაკარგა წონასწორობა და, პირქვე რომ არ დაცემულიყო, დედამ აიტაცა და გულში ჩაიკრა. ეს ახალფეხადგმული ყრმა სთიფუეისის მკვიდრი, მომავალი მეზღვაური, ჯორჯან რეიბრუკი გახლდათ.